

გიორგი ანჩაბაძე

საქართველოს ისტორია

მოკლე ნარკვევი

რედაქტორი: ნაირა გელაშვილი

კავკასიური სახლი

თბილისი

2005

George Anchabadze. History of Georgia. Short sketch. Tbilisi: Caucasian House, 2005

გიორგი ანჩაბაძე. საქართველოს ისტორია. მოკლე ნარკვევი. თბილისი: კავკასიური სახლი, 2005.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ისტორიის სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევს. მასში მოკლედ არის გადმოცემული ქვეყნის ისტორიის ძირითადი მომენტები უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე.

ნარკვევზე მუშაობისას ავტორი ეყრდნობოდა საქართველოს ისტორიის წყაროებსა და ქართველ მეცნიერთა (მათ შორის საკუთარ) გამოკვლევებს.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

© გიორგი ანჩაბაძე, 2005

© George Anchabadze, 2005

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველო უძველეს ხანაში (ძვ. წ. IV ს–მდე)-----	4
ქართული სახელმწიფოები გვიანანტიკურ პერიოდში (ძვ.წ. IV – ახ.წ. V სს–ში)-----	5
საქართველო ადრეფეოდალურ ხანაში (VI–X სს.). ქართველი ხალხის ჩამოყალიბება-----	7
საქართველო განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XI–XIII ს–ის პირველი მეოთხედი)-----	9
ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა (XIII–XV სს.)-----	11
საქართველო ფეოდალური ურთიერთობების სტაგნაციის ხანაში (XVI–XVII სს.)-----	13
საქართველო XVIII საუკუნეში. ფეოდალიზმის რღვევის დასაწყისი-----	15
საქართველოს გაერთიანება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (1801–1878 წწ.)-----	18
კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში. ეროვნული და სოციალურ–განმათავისუფ- ლებელი მოძრაობის შემდგომი ეტაპები (XIX ს–ის შუა ხანები – 1917 წ.)-----	19
საქართველოს დამოუკიდებლობის დროებითი აღდგენა და რუსეთის მიერ მისი ხელახალი დაპყრობა (1918–1921)-----	22
საქართველო 1921–1945 წლებში. კომუნისტური სისტემის განმტკიცება-----	24
საქართველო 1946–1992 წლებში. კომუნისტური სისტემის კრიზისი. სსრ კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა-----	27
საქართველო პოსტსაბჭოურ ხანაში-----	30

საქართველო უძველეს ხანაში (ძვ. წ. IV ს–მდე)

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის არსებობა ანთროპოგენეზის საწყისი ეტაპებიდან დასტურდება. აქ დაბა დმანისის მახლობლად (80 კმ თბილისის სამხრეთ-დასავლეთით) აღმოჩენილია ნამარხი ადამიანის – ჰომო ერექტუსის ნაშთები, რომელთა ასაკი დაახლოებით 1,8 მილიონი წელია. დღესდღეობით ეს არის ადამიანის უძველესი კვალი ევრაზიაში. შემდეგ ქვის ხანის ადამიანმა თანდათანობით საქართველოს მთელი ტერიტორია აითვისა. უკვე აშელის ეპოქის (დაახლოებით 400–100 ათასი წლის წინ) ნამოსახლარები აღმოჩენილია საქართველოს როგორც ზღვისპირეთში, ასევე ქვეყნის შიდა რაიონებსა და მთიან ზოლში.

დაახლოებით 6–7 ათასი წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანმა იარაღის დასამზადებლად ქვასთან ერთად ლითონის გამოყენებაც დაიწყო, ძვ. წ. IV–III ათასწლეულების მიჯნაზე კი ქართველთა შორეულმა წინაპრებმა ბრინჯაოს მიღება–დამუშავება ისწავლეს. შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძლიერი ტომთა კავშირები არსებობდა. თრიალეთის ზეგანზე გათხრილ დიდ ყორღანებში, სადაც მათი ბელადები იმარხებოდნენ, აღმოჩენილია როგორც ბრინჯაოს იარაღი და თიხის ჭურჭელი, ასევე ოქრომჭედლოური ხელოვნების განსაცვიფრებელი ნიმუშები.

უკანასკნელი წლების აღმოჩენები საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანაში უკვე არსებობდნენ ქალაქური ტიპის დასახლებები. კერძოდ, თბილისის აღმოსავლეთით მდებარე კახეთის რეგიონში, ქ. საგარეჯოს მახლობლად, საპაერო არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად აღმოჩენილი იქნა ქვის მძლავრი გალავნით გარშემორტყმული ქალაქის ნაშთები, რომლებსაც ამჟამად ქართველი და გერმანელი მეცნიერები იკვლევენ. როგორც ჩანს, ეს ქალაქი, რომელიც ძვ. წ. XII-XI სს-ით თარიღდება, წარმოადგენდა ადგილობრივი ტომების გამაგრებულ ცენტრს.

კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური კლასიფიკაციის მიხედვით ქართველები ეკუთვნიან პალეოკავკასიურ ლინგვისტურ ოჯახს, რომლის წარმომადგენლები კავკასიის უძველესი მოსახლეობის შთამომავლები არიან (აქედან მოდის სახელწოდება “პალეოკავკასიური”). ეს ოჯახი იყოფა სამ შტოდ (ჯგუფად): 1) დასავლური, ანუ აფხაზურ–ადიღური; 2) აღმოსავლური, ანუ ჩეჩნურ–დაღესტნური, და 3) სამხრეთული, ანუ ქართველური¹. შესაბამისად, დასავლური შტო აერთიანებს თანამედროვე აფხაზებს, აბაზებს, ადიღეელებს, ჩერქეზებსა და ყაბარდოელებს; აღმოსავლური – ჩეჩნებს, ინგუშებსა და დაღესტნის მთიელ ხალხებს (ავარები, ლეზგები, დარგულები, ლაკები და სხვ.); ქართველური კი წარმოდგენილია ქართველი ხალხით, რომელიც შედგება სამი ძირითადი სუბეთნიკური ჯგუფისაგან – ქართველები, ზანები ანუ მეგრულ–ჭანები, და სვანები. წინარე ქართველური ენის დაყოფა ქართულ, ზანურ და სვანურ შტოებად იწყება ძვ.წ. III–II ათასწლეულებში.

იმ ეპოქაში ქართული (ქართველური) ტომები სახლობდნენ როგორც თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე, ასევე ჩრდილო–აღმოსავლეთ ანატოლიის რაიონებში. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში ზოგმა მათგანმა

¹ ზოგი მეცნიერი არ იზიარებს პალეოკავკასიური ოჯახის ცალკეულ შტოებს შორის გენეტიკური ნათესაობის თეორიას (განსაკუთრებით ეს ეხება ქართველური ჯგუფის ნათესაობას დანარჩენ ორ შტოსთან). მათი აზრით, პალეოკავკასიური ერთობა – გეოგრაფიული მცნებაა და არა გენეალოგიური.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების ზღურბლს მიაღწია. ასე, მაგალითად, ძვ. წ. XII ს–ში მდინარეების ჭოროხისა და დასავლეთ ევფრატის (ყარასუ) სათავეებში ყალიბდება ადრეკლასობრივი პოლიტიკური წარმონაქმნი დიაუხი, რომელიც ზოგი მეცნიერის აზრით ქართველ ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა. დიაუხის მოსახლეობას მძიმე ბრძოლების წარმოება უხდებოდა წინა აზიის მძლავრი სახელმწიფოების – ასურეთისა და ურარტუს წინააღმდეგ. ძვ. წ. IX–VIII სს–ის მიჯნაზე ურარტუმ გაანადგურა და დაიპყრო დიაუხი. ამის შემდეგ ურარტუს მეფეები იწყებენ ომებს შავი ზღვის პირას მდებარე ქართველური გაერთიანების – კოლხას წინააღმდეგ. კოლხა უნდა იყოს ის კოლხეთის სამეფო (კოლხიდა), რომლის შესახებ ლეგენდური ხასიათის ცნობები შემონახულია ძველ ბერძნულ თქმულებაში არგონავტების შესახებ. ძვ. წ. VIII ს–ის 30–20–იან წლებში ეს ადრინდელი კოლხური გაერთიანება გაანადგურეს ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა მომთაბარე კიმერიელებმა.

ძვ. წ. VI ს–ში კოლხური სახელმწიფოებრიობა, როგორც ჩანს, ისევ აღორძინდა. მისი ცენტრი მდ. რიონის (ძველი ფასისი) დაბლობზე უნდა ყოფილიყო. იმ პერიოდის კოლხეთის ეკონომიკის საფუძველი იყო განვითარებული მიწათმოქმედება, მეცხოველეობა და რკინის მეტალურგია. შინაგანი განვითარების საფუძველზე რიონის დაბლობზე წარმოიშვა ქალაქური ტიპის დასახლებები. ძვ. წ. VI–III სს–ში აქ იჭრება საშინაო ბაზრისათვის განკუთვნილი ვერცხლის ფული.

ძვ. წ. VI ს–დან ფართოვდება კოლხეთის სავაჭრო და სხვა სახის ურთიერთობები ბერძნულ სამყაროსთან. მალე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩნდება ბერძენთა ქალაქი–კოლონიები – ფასისი (ფოთის მიდამოებში), გიენოსი (ახლანდელი ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი) და სხვ.

ძვ. წ. IV–III სს–ში კოლხური გაერთიანება თანდათანობით სუსტდება და იშლება. მისი აღმოსავლეთი ნაწილი შევიდა ახლადწარმოქმნილი აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს – იბერიის – შემადგენლობაში.

ქართული სახელმწიფოები გვიანანტიკურ პერიოდში (ძვ.წ. IV – ახ.წ. V სს.)

თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. IV ს–ში ქართული ტომების რამოდენიმე ადრესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არსებობდა, რომელთა შორის მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისათვის. ამ ბრძოლაში გამარჯვებას აღწევს გაერთიანება, რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესაყართან არსებული ქალაქი მცხეთა. მცხეთა მდებარეობდა უაღრესად ხელსაყრელ ადგილზე – კასპიიდან შავი ზღვისაკენ და აღმოსავლეთ ევროპიდან წინა აზიაში მიმავალი გზების გადაკვეთაზე, რამაც ხელი შეუწყო ქალაქის სწრაფ განვითარებას.

ძვ.წ. IV ს–ის დასასრულს მცხეთური არისტოკრატის წარმომადგენელმა ფარნავაზმა გააერთიანა ტერიტორია კავკასიონის ქედიდან მდინარე ევფრატის სათავეებამდე და მეფის ტიტული მიიღო. ასე შეიქმნა ერთიანი აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფო იბერია (ქართულად: ქართლი). მცხეთა ამ სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა, იბერიის მეფეთა რეზიდენციას კი წარმოადგენდა მცხეთის პირდაპირ მაღალ მთაზე აღმართული ციტადელი არმაზციხე.

იბერია, ანუ ქართლი, მდიდარი, მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო. ბუნებრივი პირობების მიხედვით იგი შედგებოდა ორი ზონისაგან – მთისა და ბარისაგან. ბარის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა, მთისა კი – მესაქონლეობას. მთიელები გამოირჩეოდნენ მეომრობით და დიდ როლს ასრულებდნენ იბერიის სამხედრო ორგანიზაციაში.

იბერიის ქალაქებში ვაჭრები და ხელოსნები ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოშობით უცხოელი იყო; ძირითადად სირიელები და ებრაელები.

იბერიის რელიგიურ ცხოვრებაში ბევრი რამ იყო შემორჩენილი გვაროვნული წყობილების ხანიდან. თავყვანს ცემდნენ ნაყოფიერების ღმერთს, ჭექა-ქუხილისა და ციურ სხეულთა ღვთაებებს. არსებობდა ტოტემიზმის გადმონაშთები. ფარნავაზის დროიდან იბერიული პანთეონის სათავეში იდგა მთვარის ღმერთი – არმაზი, რომლის კერპი აღმართული იყო მცხეთასთან, ერთ–ერთი მთის მწვერვალზე. არმაზი გამოსახული იყო როგორც მრისხანე მეომარი, ძვირფასი აბჯრითა და ხელში მახვილით.

საგარეო პოლიტიკაში ფარნავაზსა და მის უახლოეს მემკვიდრეებს ორიენტაცია აღებული ჰქონდათ სელევკიდებთან² კავშირზე, მაგრამ ძვ. წ. II ს–ში საერთაშორისო ვითარება იბერიისათვის მნიშვნელოვნად გაუარესდა. სამხრეთით ქვეყანამ დაკარგა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ოლქი, რომელიც მას ახლადწარმოქმნილმა სომხურმა სამეფოებმა ჩამოაჭრეს, დასავლეთით კი იბერიას გაუმეზობლდა პონტოს სახელმწიფო, რომლის მეფემ, მითრიდატე VI–მ, თავის სამფლობელოებს შეუერთა კოლხეთი. მითრიდატეს ომების დროს რომის წინააღმდეგ იბერია პონტოს მოკავშირეა, რაც ძვ. წ. 65 წელს მის ტერიტორიაზე ცნობილი რომაელი სარდლის, პომპეუსის შემოჭრის საბაბი გახდა. პომპეუსმა დიდ ბრძოლაში დაამარცხა იბერიის მეფის არტაგის ლაშქარი, მაგრამ გადაეყარა ფართოდ გაშლილ სახალხო წინააღმდეგობას, რამაც იგი აიძულა დაეჩქარებინა არტაგთან ზავის დადება. ზავის პირობებით, იბერია რომის არათანაბარუფლებიანი მოკავშირე გახდა. ამის შემდეგ რომაელები შევიდნენ კოლხეთში და დაიმორჩილეს იგი.

ახ.წ. I–II სს–ში იბერიის სამეფო კვლავ ძლიერდება, რის საფუძველსაც იძლეოდა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა. ვითარდება სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა. იბერიის ტერიტორიაზე გადიოდა ინდოეთიდან საბერძნეთში მიმავალი დიდი სავაჭრო გზა.

იბერიის გაძლიერება თავდაპირველად აწყობდათ რომაელებს, ვინაიდან თავის აღმოსავლეთის პოლიტიკაში ისინი ხშირად იბერიელ მოკავშირეებს იყენებდნენ. გარდა ამისა, იბერია აკონტროლებდა ცენტრალური კავკასიონის უმნიშვნელოვანეს უღელტეხილებს, რითაც რომის აზიურ სამფლობელოებს იცავდა ჩრდილო კავკასიიდან მეომარი ტომების შემოჭრისაგან. მაგრამ გაძლიერებული იბერია თანდათან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას იწყებს. მეფე ფარსმან I (ახ.წ. I ს.) სარგებლობს რომსა და პართიას შორის არსებული წინააღმდეგობებით და ეუფლება სომხეთს, რომლის ტახტზე აჰყავს ჯერ თავისი ძმა, შემდეგ კი ვაჟი. I–II სს–ში იბერიის ტერიტორია ფართოვდება, იგი იბრუნებს ადრე დაკარგულ სამხრეთის პროვინციებს.

II საუკუნისათვის ახალი პოლიტიკური რეალებით ხასიათდება ვითარება კოლხეთშიც. მის ზღვისპირა ზოლში ყალიბდება დასავლეთ ქართული და აფხაზური ტომობრივი სამთავროები – ლაზიკა, აფსილია, აბაზგია, სანიგია, რომელთა მმართველები რომის უზენაესობას აღიარებდნენ.

III ს–ში იბერიის საგარეო–პოლიტიკური მდგომარეობა ისევ უარესდება. ირანში გამეფებული ახალი სპარსული დინასტიის – სასანიანების ექსპანსიის ერთ–ერთ ძირითად ობიექტად ამიერკავკასია იქცა, რამაც იბერია აიძულა კვლავ მტკიცედ დადგომოდა რომის ორიენტაციასა და ირანს დაპირისპირებოდა. ამის ერთ–ერთი გამოხატულება იყო იბერიის სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება, რაც დაახლოებით 337 წელს მოხდა. როგორც ჩანს IV ს–ში ქრისტიანობა იმარჯვებს კოლხეთშიც, სადაც ამ დროს გაერთიანების ტენდენცია ისახება. კერძოდ ერთ–ერთი დასავლეთ ქართული (ზანური) ტომის, ლაზების, სამთავრო – ლაზიკა (ქართულად: ეგრისი) თავის გავლენას ავრცელებს სხვა ადგილობრივ

² სელევკიდები – სამეფო დინასტია, რომელიც ძვ.წ. 312–64 წწ. მართავდა ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნაწილებზე შექმნილ ერთ–ერთ სახელმწიფოს წინა აზიაში.

პოლიტიკურ ერთეულებზე და ტომებზე. გაძლიერებული ლაზთა მეფეები, ფაქტობრივად, რომის მორჩილებიდანაც გამოდიან.

იბერიაში ქრისტიანობის გავრცელებამ მძლავრი ბიძგი მისცა ქართული დამწერლობის განვითარების საქმეს. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული წარწერები, შესრულებული ორიგინალური ანბანით, V ს-ით თარიღდება.

IV-V სს-ში საქართველოში ყალიბდება ფეოდალური ურთიერთობები. ეს პერიოდი იბერიისათვის კვლავ გართულებული საგარეო-პოლიტიკური ვითარებით ხასიათდება. რომაელებთან კავშირმა ვერ იხსნა ქვეყანა სასანიანთა აგრესიისაგან, რომელიც განსაკუთრებით ძლიერდება V ს-დან, მას შემდეგ, რაც სპარსელებმა დაიპყრეს იბერიის მეზობელი ქვეყნები – სომხეთი და ალბანია და უშუალოდ მოადგნენ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებს. იწყება ომები ქართველებსა და სპარსელებს შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია V ს-ის მეორე ნახევარი, როდესაც იბერიაში მეფობს ვახტანგ I გორგასალი (449-502). მეფე ვახტანგი იყო კარგი მეომარი, ჭკვიანი და ენერგიული მმართველი. იგი სასანიანთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების გაერთიანებას ცდილობდა. ამ მხრივ მან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მის დროს იბერია კვლავ გაძლიერდა და შეიერთა რიგი მეზობელი ტერიტორიები. ვახტანგ გორგასალი დიდ სააღმშენებლო საქმიანობასაც ეწეოდა. მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის ქალაქად გადაქცევა, რომელიც მანამდე მხოლოდ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა³. მაგრამ VI ს-ის დამდეგს ვახტანგ გორგასალი სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა.

საქართველო ადრეფეოდალურ ხანაში (VI-X სს.).

ქართველი ხალხის ჩამოყალიბება

VI ს-ში საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანობაში უკვე ფეოდალური ურთიერთობებია გაბატონებული, თუმცა მთიან რაიონებში კიდევ იყო და ძალიან დიდხანს შემორჩა თემური წყობილების გადმონაშთები. ძველი გვაროვნული და მონათმფლობელური არისტოკრატია თანდათანობით ფეოდალურ კლასად – აზნაურობად ჩამოყალიბდა. იშლება აგრეთვე თავისუფალ მეთემეთა ფენა, რომლის წარმომადგენელთა უმნიშვნელო ნაწილი აზნაურთა კატეგორიაში გადადის, უმრავლესობა კი თანდათანობით დამოკიდებულ გლეხებად იქცევა. იბერიის მსხვილი ფეოდალები სამეფო ხელისუფლებას უპირისპირდებიან და თავისი პოლიტიკური და სამამულო უფლებების განმტკიცების მიზნით კავშირს ამყარებენ ირანის შაჰთან. ამ უკანასკნელმა კარგად გამოიყენა ეს გარემოება და 523 წელს, ქართველთა მორიგი აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ქართლში მეფობა გააუქმა. ქვეყანაში ხელისუფლება გადავიდა შაჰის ნაცვლის – მარზპანის – ხელში, რომლის რეზიდენციას თბილისი წარმოადგენდა.

აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონების შემდეგ ირანელებმა მზერა მიაპყრეს ქვეყნის დასავლეთ ნაწილს – ლაზიკას, ვინაიდან იბერიელი მოჯანყეები ყოველთვის აქ პოულობდნენ თავშესაფარს. გარდა ამისა, ლაზიკის ხელში ჩაგდება ირანი კარგ პლაცდარმს შეიძენდა თავისი ძველი მეტოქის – ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ სამოქმედოდ. თავის მხრივ, ბიზანტიელებმაც გააძლიერეს დაწოლა ლაზიკაზე, რომელიც იმპერიის ვასალური სამეფო იყო. მათ ამ ქვეყანაში თავისი ჯარები შეიყვანეს. ბიზანტიელი მოხელეები და სამხედროები ავიწროებდნენ ლაზიკის მოსახლეობას, არად აგდებდნენ ადგილობრივ სამეფო ხელისუფლებასაც. ამან აიძულა ლაზიკის მეფე გუზაზ II 541 წელს აჯანყებულიყო და დახმარებისათვის მიემართა ირანის შაჰისათვის, რომელსაც ომი ჰქონდა ბიზანტიის

³ თბილისის ციხე-გალავნის მშენებლობა დაასრულა ვახტანგის მემკვიდრემ, დაჩი I-მა (VI ს-ის დასაწყისი), რომელმაც მამის ანდერძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა.

იმპერიასთან. ირანელები ლაზიკაში შევიდნენ და გუბაზის დახმარებით ქვეყანა ბიზანტიელთაგან გაწმინდეს. მაგრამ მალე გამომჟღავნდა შაჰის ნამდვილი ზრახვები ლაზიკის მიმართ – გუბაზის მოკვლა, ლაზების ირანში გადასახლება და მათ მიწაზე ირანელი კოლონისტების ჩამოსახლება. ამან აიძულა გუბაზ II კვლავ ბიზანტიელთა მხარეზე გადასულიყო (548). ლაზებმა და ბიზანტიელებმა რამოდენიმეჯერ დაამარცხეს ირანელები და 562 წელს საბოლოოდ განდევნეს ისინი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან. ეს მხარე კვლავ ბიზანტიის გავლენის სფეროში დარჩა.

ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ირანელთა უშუალო მმართველობა აუტანელი გახდა ქართლელი (იბერიელი) აზნაურებისათვის, რომლებმაც მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით VI ს-ის 70-იან წლებში გააძევეს ირანელი მოხელეები და ქვეყნის მართვა-გამგებლობის სადავეები ხელში ჩაიგდეს. მიუხედავად ამისა, VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის პირველ მესამედში აღმოსავლეთ საქართველო კვლავ განიცდიდა ირანელთა და ბიზანტიელთა ჯარების შემოსევებს, რომლებიც ცდილობდნენ თავისი კონტროლის ქვეშ მოექციათ ეს მდიდარი და სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებულ ადგილზე მდებარე ქვეყანა.

მიუხედავად ხშირი ომებისა, V–VI საუკუნეები ქართული კულტურის მნიშვნელოვანი წინსვლის პერიოდიცაა. ამ ხანას განეკუთვნება ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები (ჰაგიოგრაფიები): იაკობ ცურტაველის “შუმანიკის წამება” (V ს.) და უცნობი ავტორის “ევსტათი მცხეთელის წამება” (VI ს.). შენდება საეკლესიო არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები – ბოლნისის სიონი (V ს.), მცხეთის ჯვარი (VI ს.) და სხვ. საერო არქიტექტურის განვითარებაზე მიუთითებენ იმ პერიოდის ციხე-ქალაქთა შთამბეჭდავი ნანგრევები – უჯარმა, ჭერემი, ციხეგოჯი და სხვ.

VII ს-ის შუა ხანებში საქართველოს საზღვრებს არაბები მოადგნენ. რამოდენიმე გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად მათ მოახერხეს ქვეყნის ძირითადი პროვინციების დამორჩილება და დახარკვა. არაბული ადმინისტრაციის მეთაურმა, ამირამ, თბილისში დაიდო ბინა და აქედან მართავდა საქართველოს დაპყრობილ ნაწილს. მაგრამ ქართველი ხალხი არც ამჯერად შერიგებია უცხოელთა ბატონობას. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ახალი აჯანყებები, რამაც თანდათანობით საფუძველი შეურყია არაბთა ხელისუფლებას საქართველოში. ხალიფატის ცენტრიდან გამოგზავნილი დამსჯელი ექსპედიციები ცალკეული წარმატებების მიუხედავად, ვერ ახერხებდნენ ქართველთა წინააღმდეგობის გატეხვას. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ IX–X სს-ში მიმდინარეობს თვით არაბთა ხალიფატის დასუსტების და დაშლის პროცესი.

VIII ს-ის ბოლოს და IX ს-ის დასაწყისში უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლის პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ფეოდალური სახელმწიფოები წარმოიშვა: კახთა სამთავრო, აფხაზთა სამეფო⁴, ჰერეთა სამეფო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო (შემდგომში სამეფო). ამ სახელმწიფოებმა თანდათანობით არაბთა ბატონობისაგან გაათავისუფლეს საქართველოს დიდი ნაწილი. ასე რომ X ს-თვის არაბთა გამგებლობაში დარჩა მხოლოდ ქალაქი თბილისი მის გარშემო მდებარე პატარა ოლქით.

⁴ აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი შეასრულა აფხაზეთის (აბაზგიის) სამთავრომ. აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ გააერთიანა ძველი კოლხეთის ტერიტორია და “აფხაზთა მეფის” ტიტული მიიღო (VIII ს-ის დასასრული). დედაქალაქად მან აირჩია ქართული ქალაქი ქუთაისი. ლეონის მემკვიდრეებმა უფრო მეტად განავრცეს სამეფოს საზღვრები. ამ სახელმწიფოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველური ელემენტისაგან (ქართველი, ზანები, სვანები) შედგებოდა, ხოლო ქართული ენა – დამწერლობისა და კულტურის ძირითადი ენა იყო. ამიტომ აფხაზთა სამეფო და მასთან ერთად ეთნიკური აფხაზები, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური წარმონაქმნების სისტემაში აღმოჩნდნენ ჩართულნი. აფხაზთა მეფეების საერთო ქართულმა პოლიტიკამ მეტად პოზიტიური როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში

აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის წარმოებდა ბრძოლა პირველობისათვის, რომელშიც ჯერ აფხაზთა სამეფო ლიდერობდა, ხოლო შემდეგ – ტაო-კლარჯეთის სამეფო. ამ ბრძოლამ, ფაქტობრივად, დააჩქარა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი, რომელსაც, ცხადია, ხელს უწყობდნენ, აგრეთვე, გარკვეული ეთნო-პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

ამრიგად, X ს-ის მეორე ნახევრისათვის მომწიფდა საქართველოს გაერთიანების წინაპირობები, რამაც საშუალება მისცა მეფე ბაგრატ III ბაგრატიონს (975–1014), რომელიც მამის მხრიდან ტაო-კლარჯეთის მმართველი საგვარეულოს, ხოლო დედის მხრიდან – აფხაზთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო, გაერთიანებინა ქვეყნის დიდი ნაწილი. ერთიანი ქართული სამეფოს დედაქალაქი გახდა ქუთაისი.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა ქართული ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც პრაქტიკულად დასრულდა XI ს-თვის. ქართველი ხალხის ძირითადი ბირთვი შეადგინეს ქართველმა, რომლებსაც ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი და წამყვანი ნაწილი ეკავათ, მეგრულმა-ზანებმა და სვანებმა. გარდა ამისა, ქართველთა შემადგენლობაში შევიდა კიდევ ზოგიერთი სხვა პალეოკავკასიური წარმოშობის ტომი. ტერმინი *ქართველი*, რომელიც ადრე მხოლოდ ქართლის (იბერიის) მკვიდრს აღნიშნავდა, X-XI სს-დან ქართველთა საერთო ავტოეთნონიმი გახდა. დაახლოებით ამავე პერიოდში ჩნდება გაერთიანებული ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინიც – *საქართველო*. საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის სამწერლობო და ღვთისმსახურების ენა იყო ქართული, თუმცა ზოგ პროვინციაში გავრცელებული იყო ადგილობრივი სალაპარაკო ენაც.

საქართველო განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XI–XIII ს-ის პირველი მეოთხედი)

ისტორიული ქართული მიწებიდან ბაგრატ III-ის გარდაცვალების დროისათვის გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ფარგლებს გარეთ კიდევ რჩებოდა თბილისი, რომელიც პატარა მაჰმადიანური სამთავროს ცენტრს წარმოადგენდა, და სამხრეთ საქართველოს ნაწილი, რომელსაც 1001 წლის შემდეგ ბიზანტიის იმპერია დაეუფლა. ამიტომ ბაგრატ III-ის მემკვიდრეების მთავარი საზრუნავი ამ ტერიტორიების შემოერთება იყო.

გიორგი I (1014–1027) უშედეგოდ ეომა ბიზანტიელებს ქართული მიწების დასაბრუნებლად. მისი ვაჟის, ბაგრატ IV-ის (1027–1072) მეფობის დასაწყისში კი ბიზანტიელები თვითონ შემოიჭრნენ საქართველოში, მაგრამ მოგერიებულნი იქნენ. ბაგრატ IV იბრძოდა თბილისისა და ბიზანტიელთა ხელში დარჩენილი ციხესიმაგრეების განთავისუფლებისათვის, მაგრამ მან ვერ მიიყვანა საქმე ბოლომდე მსხვილ ფეოდალთა პარტიკულარიზმისა და ახალი მტრის - თურქ-სელჩუკების - შემოსევების გამო, რომლებიც საქართველოში პირველად შემოიჭრნენ 1064 წელს.

სელჩუკთა შემოსევებმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო 1080 წლისათვის. საქართველო მათ მიერ სასტიკად იყო აოხრებული, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კი გაჟლეტილი ან ტყვედ წაყვანილი. ამან აიძულა მეფე გიორგი II (1072–1089) ხლებოდა სელჩუკთა სულთანს მალიქშაჰს და მისთვის მორჩილება და ყოველწლიური ხარკის გადახდა აღეთქვა. მაგრამ არც ამან აღკვეთა ცალკეული თურქული რაზმების თარეში ქართულ მიწებზე. გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქები (მათ შორის თბილისიც) სელჩუკთა გარნიზონებმა დაიკავეს.

მდგომარეობა შეიცვალა XI ს-ის 90-იან წლებში, როდესაც მალიქშაჰის გარდაცვალების შემდეგ სელჩუკთა სახელმწიფო ანარქიამ მოიცვა, ხოლო დასავლეთიდან მას ევროპელმა ჯვაროსნებმა შეუტყეს. შექმნილი ვითარება კარგად გამოიყენა საქართველოს ახალმა მეფემ,

დავით IV-მ (1089–1125). მან 1097 წელს სელჩუკებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა და დაიწყო ბრძოლა მათი საქართველოდან სრული განდევნისათვის. დავითი ენერგიული პიროვნება იყო, ნიჭიერი სარდალი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა საქართველო ძლიერ სახელმწიფოდ აქციეს. ქართველებმა დავით მეფის ხელმძღვანელობით არაერთგზის დაამარცხეს სელჩუკთა ჯარები (განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდგორის გამარჯვება 1121 წლის 12 აგვისტოს) და 1122 წელს იერიშით აიღეს თბილისი, რომელიც საქართველოს დედაქალაქად გამოცხადდა.

ქართული მიწების განთავისუფლების შემდეგ 1123–1124 წლებში დავით IV-მ სელჩუკები მეზობელი სომხური და აზერბაიჯანული პროვინციებიდანაც გარეკა, ხოლო ეს მიწები თავის სამეფოს შემოუერთა. ამრიგად, დავითის მეფობის ბოლო წლებში მისი სამფლობელოები შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული.

დავით IV დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე ქალაქების, გზების, ხიდების მშენებლობას, რამაც საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას შეუწყო ხელი. თავისი დროისათვის მეტად განათლებული, წიგნების მოყვარული მეფე ზრუნავდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების განვითარებაზეც. მაგალითად, მისი მითითებით დასავლეთ საქართველოში გელათის მონასტერთან შეიქმნა აკადემია, სადაც ისწავლებოდა ფილოსოფია, ასტრონომია, მათემატიკა, რიტორიკა, მუსიკა და სხვ. მეორე აკადემია დაარსებული იქნა იყალთოში (აღმოსავლეთ საქართველო). ასეთი მრავალმხრივი აღმშენებლობითი მოღვაწეობისათვის დავით IV-ს ქართველმა ხალხმა “აღმაშენებელი” უწოდა.

დავით აღმაშენებლის დროიდან იწყება ფეოდალური საქართველოს ე.წ. ოქროს ხანა, – პოლიტიკური ძლიერების, ეკონომიკისა და კულტურის აყვავების ყველაზე გამორჩეული პერიოდი. გიორგი III-ისა (1156–1184) და თამარ მეფის (1184–1213) ეპოქაში საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო. საგარეო ომები მეტწილად ქართული ჯარის გამარჯვებით მთავრდებოდა. თავისი მასშტაბურობითა და პოლიტიკური შედეგებით ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შამქორის (1195) და ბასიანის (1202) ბრძოლები, სადაც ქართველებმა დაამარცხეს დასავლეთ ირანისა და მცირე აზიის მუსლიმ გამგებელთა ძალები. თამარ მეფის ხანაში საქართველოს სახელმწიფო ამიერკავკასიის დიდ ნაწილს მოიცავდა, მისი პოლიტიკური გავლენა კი ვრცელდებოდა მეზობელ ტერიტორიებზე ჩრდილო კავკასიის მთიანეთიდან შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებამდე, სადაც 1204 წელს თამარის ძალისხმევით ჩამოყალიბდა ბერძნულ-ქართული ტრაპიზონის იმპერია.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა ქართული იარაღის წარმატებებს, იყო მრავალრიცხოვან ომებში დახვეწილი სამხედრო საქმე. საქართველოს შეიარაღებული ძალების ბირთვის შეადგენდნენ მეფის მუდმივი ლაშქარი და ფეოდალურ სისტემაზე აგებული რაინდი-აზნაურების რაზმები, დამხმარე ძალას – მოკავშირეთა და მოქირავნეთა კონტინგენტები, ძირითადად ჩრდილო კავკასიიდან. XII–XIII ს-ის პირველ მეოთხედში ქართველებს შეეძლოთ ველზე ერთდროულად გამოეყვანათ 60–90 ათასი მეომარი. ეს იყო უმთავრესად ცხენოსანი ჯარი, კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება დამყარებული იყო იმ დროისათვის განვითარებულ მრავალდარგოვან ეკონომიკაზე. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მიუთითებს სარწყავი არხების რთული სისტემის შექმნა. მაგალითად, თამარ მეფის დროს გაყვანილი მარტო ერთი ასეთი არხი სიგრძით 119 კმ იყო და 53 ათას ჰა ფართობს რწყავდა. არხების მშენებლობას თან სდევდა მემინდვრობისა და მებაღეობა-მევენახეობის შემდგომი განვითარება. საქართველოში მოჰყავდათ აგრეთვე ბრინჯი, სელი, ბამბა, გავრცელებული იყო მეაბრეშუმეობა. სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მეცხოველეობა.

ვაჭრობა–ხელოსნობის ძირითად ცენტრებს ქალაქები წარმოადგენდნენ. თბილისში XIII ს–ის დამდეგს 100 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა. მნიშვნელოვანი ქალაქები იყო აგრეთვე ქუთაისი, რუსთავი, გორი, დმანისი და სხვ. საქართველო ვაჭრობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან.

XI–XIII ს–ის დასაწყისში ფეოდალურმა ქართულმა კულტურამ თავისი აყვავების უმაღლეს წერტილს მიაღწია. განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება, ისტორიოგრაფია, ფილოლოგია, საეკლესიო და საერო ლიტერატურა, ხელოვნება. XII ს–ის დასასრულს განეკუთვნება დიდი ქართველი მგოსნის, შოთა რუსთაველის შემოქმედება, რომლის პოემა “ვეფხისტყაოსანი” მსოფლიო ლიტერატურის ერთ–ერთი შედეგია.

XII ს–შია შექმნილი აგრეთვე ქართული საისტორიო თხზულებათა ოფიციალური კრებული “ქართლის ცხოვრება”. მასში ისე იქნა გაერთიანებული VIII–XII სს–ის ავტორთა ქრონიკები, რომ გამოსულიყო საქართველოს ისტორიის უწყვეტი აღწერა უძველესი ხანიდან კრებულის შედგენის დრომდე. შემდეგ XVIII ს–მდე პერიოდულად ხდებოდა “ქართლის ცხოვრების” შევსება ახალი თხზულებებით. ასე ჩამოყალიბდა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი წერილობითი წყარო, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს აგრეთვე კავკასიის სხვა ქვეყნების შესახებ.

განსახილველ პერიოდში შექმნილი ქართული არქიტექტურის მონუმენტური ძეგლებიდან აღსანიშნავია ბაგრატის, სვეტიცხოვლისა და ალავერდის ტაძრები (XI ს.), გელათის მონასტერი, მეფის სასახლე გეგუთში, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი ვარძია (XII ს.), ფიტარეთისა და ბეთანიის ეკლესიები (XIII ს–ის დასაწყისი) და სხვ. ეკლესია–მონასტრებმა შემოინახეს ქვის მხატვრული დამუშავებისა და კედლის მოხატულობის ბრწყინვალე ნიმუშები. განვითარების მაღალ დონეზე იდგა აგრეთვე ხელნაწერი წიგნების გაფორმება, ოქრომჭედლობა, ტიხრული მინანქრის წარმოება და სხვ.

თამარის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი გიორგი IV ლაშა (1213–1223). მისი მეფობის დასაწყისი ახალი სამხედრო წარმატებებით აღინიშნა. გამარჯვებებით ფრთაშესხმული გიორგი IV პალესტინაში ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა, მაგრამ 1220 წელს საქართველოს საზღვრებს მოულოდნელად ჩინგიზ–ყაენის მონღოლები მოადგნენ. მათთან ბრძოლაში მეფე გიორგი დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. საქართველოს ტახტზე ავიდა მისი და რუსუდანის (1223–1245).

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა (XIII–XV სს.)

რუსუდანის მეფობის დროს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში თავი იჩინა შინაგანმა კრიზისმა, რამაც შეარყია ქვეყნის ძლიერება და გახდა გარეშე მტერთან ბრძოლაში ქართველთა მძიმე დამარცხებების მიზეზი. კერძოდ, 1225–1231 წლებში საქართველოში რამოდენიმეჯერ წარმატებით ილაშქრა ხვარაზმშაჰმა ჯალალ ად–დინმა. მან თბილისიც კი აიღო და მისი ქრისტიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჟლიტა. მართალია, ამის შემდეგ მალე თვითონ ჯალალ ად–დინიც დამარცხდა მონღოლებთან ბრძოლაში და დაიღუპა, მაგრამ მისი თარეშით დასუსტებული საქართველო უფრო ძლიერი მტრის – მონღოლების პირისპირ აღმოჩნდა. 1243 წელს რუსუდან დედოფალი იძულებული გახდა ოფიციალურად ეცნო მონღოლთა ყაენის უზენაესობა.

მონღოლებს არ გაუუქმებიათ ქართული სახელმწიფოებრიობა, რაც ქართველთა წინააღმდეგობის შედეგი იყო. დამპყრობლები იმას დასჯერდნენ, რომ საქართველოს მეფე

აღიარებდა ჩინგიზიანთა უზენაეს ხელისუფლებას, გადაიხდიდა ყოველწლიურ ხარკს და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარებოდა მათ სამხედრო ძალით.

რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტს გაუჩნდა ორი პრეტენდენტი: გიორგი ლაშას ვაჟი ულუ–დავითი და რუსუდანის ვაჟი დავით–ნარინი. მონღოლებმა 1247 წელს ორივე უფლისწული ერთდროულად დაამტკიცეს მეფეებად, რაც, ცხადია, სახელმწიფოს დაშლის წინაპირობას ჰქმნიდა.

მონღოლთა ბატონობა მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს. ყოველწლიურად დიდი ხარკის გაღებამ ქვეყნის ეკონომიკას საფუძველი მოურყია. გარდა ამისა, ქართველებს რეგულარულად უხდებოდათ მონღოლთა შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობა, რაც ისევ მატერიალურ ხარჯებთან და, რაც მთავარია, ადამიანთა მსხვერპლთან იყო დაკავშირებული.

შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად მეფე დავით–ნარინი 1259 წელს აუჯანყდა მონღოლებს და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ეს იყო, ფაქტობრივად, ქვეყნის პოლიტიკური დაშლის დასაწყისი, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველო, მისდამი დაქვემდებარებულ ჩრდილო სომხეთთან ერთად, ულუ–დავითისა და მისი მემკვიდრეების ხელში დარჩა, როგორც მონღოლთა იმპერიაში შემავალი ავტონომიური სამეფო.

აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები ამ დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ცნობილია მათ მიერ ორგანიზებული აჯანყებები 1260–1261 და 1297–1311 წლებში, რომლებსაც ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები მოჰყვა. მონღოლთა ბატონობისაგან საქართველოს ფაქტობრივი განთავისუფლება მოხდა მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს (1314–1346). გიორგი V–მ შემოიერთა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სამეფო და, ამრიგად, აღადგინა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობა.

განთავისუფლებული საქართველო აღორძინების გზას დაადგა, მაგრამ XIV ს–ის 80–იანი წლებიდან ქვეყანას ახალი მტერი მოევლინა თემურლენგის სახით. ეს მრისხანე შუაზიელი დამპყრობელი 1386–1403 წლებში 8–ჯერ შემოესია საქართველოს და სასტიკად ააოხრა იგი, გაჟლიტა ან ტყვედ წაიყვანა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს იყო ერთ–ერთი ყველაზე უფრო დიდი განადგურება, რაც კი გადახდენია ქართველ ხალხს მთელი მისი ისტორიის მანძილზე. მიუხედავად ამისა, თემურმა მაინც ვერ მოახერხა საქართველოს სრული დამორჩილება. ქართველებთან ბრძოლაში მისმა ჯარებმა მძიმე ზარალი განიცადეს.

თემურლენგის ლაშქრობებმა ფეოდალურ საქართველოს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს: კატასტროფულად დაეცა ეკონომიკა, შემცირდა მოსახლეობა, ქვეყანა კულტურული დაქვეითების გზას დაადგა. ქართველები ჩართულნი აღმოჩნდნენ იმ გაუთავებელ ომებში, რომლებსაც თემურლენგის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სახელმწიფოები აწარმოებდნენ; ბოლო არ უჩანდა მომთაბარე ტომების შემოსევებს.

XV ს–ის მეორე ნახევარში საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თურქი ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ 1453 წელს ქვეყანას ქრისტიანულ ევროპასთან დამაკავსირებელი გზა გადაუკეტა. საქართველო მარტო აღმოჩნდა მუსლიმური სახელმწიფოების გარემოცვაში, იქცა მათი პერმანენტული აგრესიის ობიექტად.

განუწყვეტელი ომები, ეკონომიკისა და კულტურის დაქვეითება გახდა საქართველოს შინაგანი განვითარების შეფერხების მიზეზი. დაიწყო სტაგნაციის ხანგრძლივი პერიოდი, რისი ერთ–ერთი შედეგი იყო ქვეყნის პოლიტიკური დაშლა. XV ს–ის ბოლოსათვის საქართველო დაიყო ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ (სამცხე–

საათაბაგო)⁵. მაგრამ, არც ეს პატარა სახელმწიფოები იყვნენ ცენტრალიზირებული ერთეულები და, თავის მხრივ, შეიცავდნენ რიგ ვასალურ სამფლობელოებს, რომელთაგან უძლიერესნი – სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის სამთავროები – მალე გამოეყვნენ იმერეთის სამეფოს და მისგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

სამეფო-სამთავროების შემადგენლობაში ყალიბდებიან კიდევ ნახევრად დამოუკიდებელი სენიორიები – *სათავადოები*, რაც თავადის სამფლობელოს ნიშნავს (წოდება “თავადი” XV ს-ში გამოეყო გაბატონებულ კლასს). *თავადები*, მსხვილი მიწათმფლობელები, მეფეებისა და მთავრების ვასალები იყვნენ, მაგრამ თავის სამფლობელოებში სარგებლობდნენ ადმინისტრაციული, სასამართლო და საგადასახადო იმუნიტეტით, ჰყავდათ საკუთარი სამხედრო ძალები. ტერმინი *აზნაური* ამის შემდეგ მხოლოდ წვრილ ფეოდალს აღნიშნავს. აზნაურები მეფეების, მთავრების, თავადებისა და ეკლესიის ვასალები იყვნენ. ფეოდალი-ვასალების მოვალეობა თავისი სიუზერენების წინაშე, პირველ რიგში, სამხედრო სამსახურს გულისხმობდა.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის დროისათვის ქვეყანაში უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული იყო ბატონყმური ურთიერთობები. გლეხებისა და ქალაქების ვაჭარ-ხელოსნური მოსახლეობის დიდი ნაწილი მეფეების, ფეოდალებისა და ეკლესიის ყმა იყო. პირადად თავისუფალი გლეხების ფართო ფენა შემორჩა მხოლოდ საქართველოს მთიან რაიონებსა და აფხაზეთში.

საქართველო ფეოდალური ურთიერთობების სტაგნაციის ხანაში (XVI-XVII სს.)

XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში საქართველოს ორი ძლიერი სახელმწიფო – ოსმალეთის (თურქეთის) იმპერია და სეფიანთა ირანი გაუმეზობლდა. ისინი საქართველოს მიმართ თავიდანვე მკვეთრად გამოხატული აგრესიული პოლიტიკის გატარებას შეუდგნენ. დაიწყო ქართველი ხალხის 300-წლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადი კულტურის შესანარჩუნებლად. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ხშირი შინაომების ფონზე, რაც პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველოს მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. მაგალითად, მარტო ქართლის სამეფომ XVI ს-ში გადაიხადა თოთხმეტი ომი ირანელებთან, თერთმეტი ომი თურქებთან, ხოლო ცამეტი ომი სხვა ქართულ სახელმწიფოებთან.

მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ირანმა და თურქეთმა 1555 წელს დადეს ხელშეკრულება ერაყის, ქურთისტანისა და ამიერკავკასიის გაყოფის შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი ირანის, ხოლო დასავლეთი კი – თურქეთის სამფლობელოდ გამოცხადდა. მაგრამ ქართველებმა არ ცნეს ეს გადაწყვეტილება და კვლავ შეუპოვრად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. როგორც ეროვნული შეიარაღებული წინააღმდეგობის ორგანიზატორები XVI ს-ში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ქართლის მეფეები ლუარსაბ I (1527-1556) და სვიმონ I (1556-1599).

XVII ს-ის დასაწყისისათვის ოსმალებმა მოახერხეს სამცხის სამთავროს დაპყრობა. სამცხელი ფეოდალების ნაწილმა ისლამი მიიღო და სულთნის სამსახურში შევიდა. დაპყრობილ ქართულ მიწებზე შექმნილი იქნა ოსმალური ადმინისტრაციული ერთეული – ჩილდირის ვილაიეთი,

⁵ სამცხის მთავრები 1334 წლიდან ატარებდნენ *ათაბაგის* ტიტულს, რომელიც ფეოდალურ საქართველოში ერთ-ერთ უმაღლესი სამოხელეო თანამდებობის – მეფისწულის აღმზრდელის – აღნიშვნელი იყო. აქედან მოდის სამცხის სამთავროს გავრცელებული სახელწოდება – სამცხე-საათაბაგო

რომლის მმართველი ფენა, ვილაიეთის გამგებელი ფაშების ჩათვლით, ძირითადად, გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალებისაგან შედგებოდა.

საქართველოს დანარჩენმა ნაწილებმა შეძლეს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, მაგრამ იძულებულნი იყვნენ ელიარებიანთ დამპყრობელთა უზენაესობა: აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები – ქართლი და კახეთი – სეფიანი შაჰის, ხოლო დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები – იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი – ოსმალთა სულთნის ვასალები გახდნენ. მაგრამ ურთიერთობის ამ მოდელმაც არ მოიტანა მშვიდობა, ვინაიდან დამპყრობლებს საქართველოს სრული ინკორპორირება სურდათ, ქართველები კი ცდილობდნენ ხელიდან არ გაეშვათ დამოუკიდებლობის აღდგენის არც ერთი შანსი.

განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში XVII ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც შაჰმა აბას I-მა მიზნად დაისახა ქართველების ირანში გადასახლება ან გაჟლეტა, მათ მიწებზე კი ირანელების დასახლება. მარტო კახეთიდან შაჰის ჯარებმა 100 ათასი ადამიანი წაასხეს ტყვედ, თითქმის ამდენივე კი მოკლეს. შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კახეთში ადრინდელი მოსახლეობის ნახევარიც აღარ დარჩა. მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა თავისი გმირული ბრძოლით ჩაშალა შაჰის გეგმები. 1625 წელს კახეთის მეფის თეიმურაზ I-ისა (1606-1648) და ქართლელი მხედარმთავრის, გიორგი სააკაძის მეთაურობით დაწყებული აჯანყების მსვლელობაში საქართველოში მოქმედი ირანის არმია განადგურებული იქნა. შაჰ-აბასი იძულებული გახდა შერიგებოდა ქართული სამეფოების არსებობის ფაქტს.

აღმოსავლეთ საქართველოში მდგომარეობა შედარებით სტაბილურდება XVII ს-ის 30-იანი წლებიდან, როდესაც მხარეებმა კომპრომისის მიაღწიეს: ქართლისა და კახეთის მეფეები აღიარებდნენ ირანის შაჰის უზენაესობას, ეს უკანასკნელი კი მათ შინაურ საქმეებში არ ერეოდა.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს შორის XVII ს-ში განუწყვეტელი ომები მიმდინარეობდა, რაც თურქებმა თავისი გავლენის გასაძლიერებლად გამოიყენეს. მათ ხელში ჩაიგდეს რამოდენიმე სანაპირო პუნქტი და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ტყვეებით ვაჭრობას, რომლის შედეგად ქვეყნიდან ყოველწლიურად ათასობით ადამიანი გაჰყავდათ.

უცხოელთა განუწყვეტელმა შემოსევებმა და ფეოდალურმა შინაომებმა ახალი ზიანი მიაყენეს წინა საუკუნეებში დასუსტებულ ქვეყანას. გრძელდება ეკონომიკის დაცემა, ქრება სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის მრავალი დარგი, განუხრელად მცირდება მოსახლეობის რიცხვი. აღნიშნულმა გარემოებებმა შეაფერხა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების შემდგომი წინსვლა და ზოგან (განსაკუთრებით მთიან რაიონებში) ადრეფეოდალური და პატრიარქალური ინსტიტუტების გამოცოცხლება გამოიწვია.

ერთგვარი ეკონომიკური აღმავლობა საქართველოში მხოლოდ XVII ს-ის 30-40-იანი წლებიდან შეიმჩნევა და ისიც მარტო ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში (კერძოდ, ქართლში), რომლის მდგომარეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ პერიოდში შედარებით სტაბილურდება. შექმნილმა ვითარებამ დადებითად იმოქმედა საქალაქო ცხოვრებაზე. თბილისის მოსახლეობა, რომელიც XVI ს-ის ბოლოს 10 ათას ადამიანს არ აღემატებოდა, XVII ს-ის მეორე ნახევარში 20 ათასამდე იზრდება. ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ირანის ქალაქებთან ჰქონდა.

XV ს-დან მოყოლებული XVII ს-მდე ქართული კულტურა დაქვეითებას განიცდის. ამ პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრება მკვეთრად ჩამოუვარდება X-XIII ს-ის დასაწყისის ბრწყინვალე ძეგლებს. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში უკვე აღარ არსებობენ გელათისა და იყალთოს ტიპის უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები. წერა-კითხვას უმთავრესად ოჯახებში და ეკლესია-მონასტრებში ასწავლიდნენ. XVII ს-დან განათლების დარგში იზრდება აგრეთვე დასავლეთევროპელი კათოლიკე-მისიონერების როლი, რომლებიც საქართველოში აარსებენ სკოლებს, სადაც კათოლიკურ მოძღვრებასთან ერთად ასწავლიან იტალიურ და ლათინურ ენებს, ზოგიერთ პრაქტიკულ მეცნიერებას და სხვ.

XVII ს–ში აღორძინებას იწყებს ქართული ლიტერატურა. მეფე თეიმურაზ I–მა, მეომარმა და პოეტმა, ქართულ პოეზიაში ეროვნულ–ისტორიული მოტივი შემოიტანა. მან პოემა მიუძღვნა თავისი დედის, ქეთევან დედოფლის აღსასრულს, რომელმაც შაჰ–აბასის ტყვეობაში უარი განაცხადა დაეგმო ქრისტიანობა, რისთვისაც საშინელი წამებით მოკლეს. თეიმურაზის შემდეგ ისტორიული თემატიკა უკვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ პოეზიაში.

საქართველო XVIII საუკუნეში. ფეოდალიზმის რღვევის დასაწყისი

XVIII საუკუნე საქართველოსათვის კვლავ გართულებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში დაიწყო. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში პერმანენტული შინაომები მიმდინარეობდა. თურქები აგრძელებენ აქ თავისი გავლენის გაფართოებას. ისევ დიდი მასშტაბით წარმოებდა ტყვეებით ვაჭრობა, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის მონათა ბაზრებზე გაჰყავდათ.

აღმოსავლეთ საქართველო, როგორც სეფიანთა ირანის ვასალური ქვეყანა, ძალაუნებურად მონაწილეობდა ამ სახელმწიფოს ომებში. განსაკუთრებით მძიმე იყო ბრძოლა სეფიანთა წინააღმდეგ აჯანყებულ ავღანელ ტომებთან, რომელსაც შეეწირა მრავალი ქართველი მეომარი და მათ შორის ქართლის ორი მეფე. ქართველებმაც, თავის მხრივ, დიდად დააზარალეს ავღანელები. ერთი იმდროინდელი ავტორის ცნობით, ავღანელ მეომრებს ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგედ ქართველები მიაჩნდათ.

1709 წელს, როდესაც ქართლის მეფე გიორგი XI ავღანეთში იბრძოდა, ქართლში მის მოადგილედ დაინიშნა მისივე ძმისწული ვახტანგი (შემდგომში – მეფე ვახტანგ VI). ვახტანგი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და კულტურის მოამაგე, პოეტი და მეცნიერი იყო. მისი მმართველობის დროს ქართლი აღმავლობის გზას დაადგა: განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, მოწესრიგდა გზები, შენდებოდა ხიდები და სარწყავი არხები, გაუმჯობესდა ფულის მოჭრის საქმე, გაიზარდა ვაჭრობა–ხელოსნობა, ხელახლა იქნა ათვისებული ომებისაგან გაუკაცრიელებული ადგილები.

ქართლის საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებას ხელი შეუწყო აგრეთვე ვახტანგის ხელმძღვანელობით შემუშავებულმა კანონთა კოდექსმა, რომელიც შედგენილი იყო XI–XVI სს–ის ქართული სამართლისა და ზოგი უცხოური იურიდიული ძეგლის გათვალისწინებით.

ვახტანგის თაოსნობით ინტენსიური სამეცნიერო და ლიტერატურული საქმიანობაც გაიშალა. 1709 წელს თბილისში დაარსდა პირველი ქართული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა საეკლესიო და საერო ხასიათის წიგნები. ამ სტამბაში დაიბეჭდა პირველად რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი”, საფუძვლიანი კრიტიკული მეცნიერული გამოკვლევით (1712). რედაქტირება გაუკეთდა და ახალი მასალებით შეივსო აგრეთვე “ქართლის ცხოვრების” კრებული და სხვ.

გიორგი XI–სა და მოგვიანებით ვახტანგის ერთგული თანამოღვაწე იყო მწერალი, მეცნიერი და დიპლომატი სულხან–საბა ორბელიანი (1658–1725). მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან გამოირჩევა დიდაქტიკურ–აღმზრდელობითი დანიშნულების ნაწარმოები “სიბრძნე სიცრუისა”. სულხან–საბას შედგენილია აგრეთვე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ვახტანგ VI–ის სამეცნიერო სკოლის ღირსეული წარმომადგენელია მისი ვაჟი, ბატონიშვილი ვახუშტი (1696–1757), რომლის ფუნდამენტური ნაწარმოები “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” შეიცავს უნიკალურ ცნობებს საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ. თხზულებას ერთვის მდიდარი კარტოგრაფიული მასალა.

სააღმშენებლო და კულტურული მოღვაწეობის პარალელურად ვახტანგს უხდებოდა თავადაზნაურთაგან ახალ-ახალი სამხედრო რაზმების ჩამოყალიბება და მათი ირანში გაგზავნა, ავღანელთა წინააღმდეგ მოქმედი ქართული ჯარების შესავსებად.

1716 წელს ირანის შაჰმა ვახტანგი ქართლის მეფედ დაამტკიცა. ამ დროისათვის სეფიანთა სახელმწიფო დაცემის პირას იყო მისული. მის სამფლობელოებს ამიერკავკასიაში თურქეთი და რუსეთი ემუქრებოდა. ვახტანგ VI-ს იმედი ჰქონდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთი საქართველოს დაეხმარებოდა დამოუკიდებლობის აღდგენაში. მან ფარული ხელშეკრულება დადო რუსეთის იმპერატორ პეტრე I-თან, რაც ითვალისწინებდა საერთო ძალებით ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებას. მართლაც, 1722 წელს რუსეთის არმია კასპიის ზღვის სანაპიროთი სამხრეთისაკენ დაიძრა. ვახტანგი, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, 30 ათასი მეომრით შაჰის სამფლობელოებში შეიჭრა, რათა რუსებს შეერთებოდა, მაგრამ მოკავშირეთა ძალების გაერთიანება არ მოხდა. პეტრე I-მა მოულოდნელად შეცვალა თავისი გეგმები და უკან გაბრუნდა, რითაც ქართლის მეფე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. განრისხებულმა შაჰმა, რომელმაც აშკარად დაინახა ვახტანგის “ღალატი”, ბრძანება გამოსცა მისი მეფობიდან გადაყენების შესახებ და ქართლის ტახტი კახეთის მეფე კონსტანტინე II-ს უბოძა. 1723 წელს კონსტანტინემ დაღესტნელი მთიელების დაქირავებული ჯარით თბილისი აიღო. ბრძოლამ ძალიან დააზიანა ქალაქი. ამავე დროს დასავლეთიდან თურქებმა დაიწყეს შეტევა. ვახტანგ VI-ს საქართველოში აღარ ედგომებოდა და იგი იძულებული გახდა დიდი ამაღის თანხლებით რუსეთში წასულიყო. ოსმალთა ჯარებმა თბილისი დაიკავეს. კონსტანტინე II შეებრძოლა მათ, მაგრამ მოკლული იქნა.

1723–1735 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში თურქები ბატონობდნენ, შემდეგ კი ისინი განდევნეს აღორძინებული ირანის ჯარებმა და ქვეყანაში თავისი მმართველობა დაამყარეს. ქართველები ებრძოდნენ როგორც თურქებს, ასევე ირანელებს, თუმცა განმათავისუფლებელ მოძრაობას ძალიან უშლიდა ხელს განუწყვეტელი ფეოდალური შინაომები, რომლებიც გარეშე მტერთან ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდნენ. ინტენსიური სამხედრო მოქმედებების გამო ქვეყანა გაპარტახდა.

ოსმალურ-ირანული ოკუპაციისა და საშინაო აშლილობის ფონზე მეტად გაძლიერდა დაღესტნელთა რაზმების თავდასხმები აღმოსავლეთ საქართველოზე, რასაც მოსახლეობისათვის უდიდესი ზიანი მოჰქონდა. ქართველები იარაღით ხელში ებრძოდნენ ოსმალებს, ირანელებს, დაღესტნელებს. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა კონსტანტინე II-ის უმცროსი ძმა თეიმურაზ II. ირანის მბრძანებელი ნადირ-შაჰი იძულებული გახდა აჯანყებული ქართველების წინაშე სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. 1744 წელს მან აღადგინა ქართლის და კახეთის სამეფოები, რომლებიც 1723 წლის შემდეგ, ფაქტობრივად, გაუქმებული იყო. ქართლის მეფედ დამტკიცებულ იქნა თეიმურაზ II, ხოლო კახეთის მეფედ - მისი ვაჟი ერეკლე II.

მამა და შვილი თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოს მართავდნენ როგორც ირანის ვასალები, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1747 წელს ნადირ-შაჰი მოკლული იქნა შეთქმულთა მიერ, ხოლო ირანი ანარქიამ მოიცვა, ქართლის და კახეთის სამეფოებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაიბრუნეს.

ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ამიერკავკასიაში დაიწყო ხანგრძლივი ომები მისი იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს შორის. ამ ომებში ქართველები, რომლებსაც ერეკლე II სარდლობდა, მეტწილად გამარჯვებულები გამოდიოდნენ. მათ არამარტო დაიცვეს თავისი დამოუკიდებლობა, არამედ ზოგი მეზობელი სახანოც დაიმორჩილეს. ერეკლემ თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა მეომარმა, ნიჭიერმა სარდალმა და დიპლომატმა. თავისი მამის, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ (1762) იგი გაერთიანებული ქართლ-კახეთის, ანუ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გახდა.

ქართველთა გამარჯვებებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია დასავლეთ ევროპაში. ფრანგულ და გერმანულ გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები, რომელთა ავტორები დიდად აქებდნენ ერეკლე II-ს და ვარაუდობდნენ, რომ იგი მოახერხებდა ირანის დაპყრობასაც, სადაც იმხანად შინაომები მიმდინარეობდა.

შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა იმერეთის სამეფოშიც. ენერგიული მეფე სოლომონ I (1752–1784) ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და თურქეთის ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. მან მკაცრად აკრძალა აგრეთვე ტყვეებით ვაჭრობა. სოლომონ I-ის ასეთი პოლიტიკა, ცხადია, ოსმალეთის ხელისუფლებს არ მოსწონდათ. იმერეთში რამოდენიმეჯერ შეიჭრნენ ოსმალთა ჯარები, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

1768–1774 წლებში ერეკლე და სოლომონი რუსეთს ეხმარებოდნენ თურქეთის წინააღმდეგ ომში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერეკლემ დაამარცხა ჩილდირის ვილაიეთის სამხედრო ძალები, ამიერკავკასიაში მოქმედი რუსი გენერლის დალატის გამო ვედარ შესძლო წარმატების განვითარება. 1774 წელს თურქეთთან დადებული ზავით რუსეთმა სცნო ოსმალეთის სუვერენიტეტი დასავლეთ საქართველოზე, ოღონდ იმ პირობით თუ სულთანმა უარს იტყოდა იმერეთიდან ხარკის აღებაზე.

XVIII ს-ის 50–70-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გარკვეული აღმავლობა შეინიშნება. გლეხთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად გამოიცა მთელი რიგი კანონები, რითიც შედარებით გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის წარმოების პირობები. აღმოსავლეთ საქართველოში აღდგა სამთამადნო მრეწველობა, გაიხსნა ახალი საწარმოები, სადაც უკვე ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, ჩამოყალიბდა პირველი მანუფაქტურები. ერეკლე II ყველანაირად ცდილობდა საქართველო განვითარების ევროპულ გზაზე დაეყენებინა. მისი მმართველობის ხანაში ქართლ–კახეთის სამეფოში უკვე შეიმჩნევა ფეოდალური ურთიერთობების რღვევა: გლეხთა ნაწილი თავისუფლდება ბატონყმობის უღლისაგან და თავისუფალი მწარმოებელი ხდება, იზრდება მდიდარი თბილისელი ვაჭრების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაბალი წრეებიდან გამოსული ცალკეული პირები სახელმწიფო თანამდებობებზე წინაურდებიან.

კულტურისა და განათლების დარგში აღსანიშნავია ორი სასულიერო სემინარიისა და სხვა სასწავლებლების გახსნა. 1782 წელს თბილისში დაიდგა პირველი ორიგინალური ქართული პიესა. ამ პერიოდის ქართველი პოეტებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან დავით გურამიშვილი (1705–1792) და ბესიკ გაბაშვილი (1750–1791).

80-იანი წლების დასაწყისიდან აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. ამისი ერთ–ერთი მიზეზი იყო დაღესტნელთა განუწყვეტელი თავდასხმები. მოთარეშე მთიელები ძარცვავდნენ მოსახლეობას, იტაცებდნენ ტყვეებს, რომლებიც შემდეგ ოსმალეთისა და ჩრდილო კავკასიის მონათა ბაზრებზე ხვდებოდნენ. დაღესტნელთა თავდასხმებისაგან აღმოსავლეთ საქართველოში მთელი რაიონები დაცარიელდა.

ასეთ პირობებში ერეკლე II-მ გადაწყვიტა ისევ რუსეთთან დაახლოებით განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა. 1783 წელს რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში რუსეთის იმპერიისა და ქართლ–კახეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ქართველები აღიარებდნენ რუსეთის იმპერატორის უზენაესობას და უარს ამბობდნენ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე. სამაგიეროდ რუსეთი თავის თავზე იღებდა საქართველოს დაცვას გარეშე მტრებისაგან, რისთვისაც აქ უნდა მდგარიყო ორი რუსული ბატალიონი ორი ზარბაზნით. ამასთან რუსეთის მხარე პირობას დებდა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში. სამეფო ტახტი რჩებოდა ერეკლესა და მისი შთამომავლების ხელში.

გეორგიევსკის ტრაქტატს საქართველოსთვის რაიმე არსებითი სიკეთე არ მოუტანია, ნეგატიური შედეგი კი დიდი იყო. ირანისა და ოსმალეთის მმართველი წრეები, რომლებიც

შემფოთებული იყვნენ რუსეთის ამიერკავკასიაში შემოსვლით, ერეკლე II–ს დაუპირისპირდნენ. გაძლიერდა დაღესტნელთა თავდასხმებიც. დაღესტნის ერთ–ერთმა უძლიერესმა მფლობელმა ომარ–ხანმა 1785 წელს 20–ათასიანი ჯარით წარმატებით ილაშქრა საქართველოში. რუსთა ბატალიონებმა დაღესტნელები ვერ შეაჩერეს, ორი წლის შემდეგ კი რუსეთის მთავრობამ საერთოდ გაიყვანა თავისი ძალები საქართველოდან და ერეკლე II ბედის ანაბარა დატოვა. ამასობაში დასასრულს მიუახლოვდა მრავალწლიანი ბრძოლა ირანის გაერთიანებისათვის. ქვეყნის სათავეში მოვიდა ყაჯართა დინასტიის ფუძემდებელი ალა–მაჰმად–ხანი. 1795 წელს იგი დიდი ლაშქრით შემოიჭრა ამიერკავკასიაში, რათა აღედგინა აქ ირანის ძალაუფლება. ერეკლე II–მ ტრაქტატის პირობების შესაბამისად დახმარება სთხოვა რუსეთს, მაგრამ დაპირებების გარდა არაფერი მიუღია. ამასობაში ალა–მაჰმად–ხანი 30 000 მეომრით საქართველოს მოადგა და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ 1795 წლის 12 სექტემბერს თბილისი აიღო. ირანელებმა სასტიკად ააოხრეს ქალაქი და უკან გაბრუნებისას ტყვედ წაასხეს მისი 10 000 მცხოვრები.

ამ ტრაგედიის შემდეგ ქართლ–კახეთის სამეფოს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1798 წელს გარდაიცვალა ერეკლე II და ტახტზე ავიდა მისი ვაჟი გიორგი XII (1798–1800), სუსტი და პასიური მმართველი.

ამ დროისათვის რუსეთის მთავრობას უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შესახებ. 1799 წელს რუსებმა ისევ შემოიყვანეს საქართველოში თავისი ჯარები. გიორგი XII–ის გარდაცვალების შემდეგ კი, 1801 წელს, გამოიცა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I–ის მანიფესტი ქართლ–კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. მანიფესტში ფარისევლურად იყო ნათქვამი, რომ ეს აქტი მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი. ის ადგილი თბილისში, სადაც საჯაროდ კითხულობდნენ ამ მანიფესტს, ალყაშემორტყმული იყო რუსეთის ჯარითა და არტილერიით. მსმენელთაგან კი, ვინც პროტესტი გამოთქვა სახელმწიფოს გაუქმების გამო, ადგილზევე იქნა დაპატიმრებული.

ასე დაიწყო საქართველოში რუსული მმართველობის ერა.

საქართველოს გაერთიანება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (1801–1878 წწ.)

აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიამ რუსეთის მიერ და მმართველობის ახალი ფორმების შემოღებამ ქართული მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილება გამოიწვია. თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო იყო სამეფოს გაუქმებითა და ძველი ფეოდალური უფლებების შეზღუდვით, ქართველ გლეხობას კი რუსების მიერ დაწესებულ მძიმე გადასახადებთან ერთად, ეროვნული ჩაგვრის უღელიც დააწვა. კოლონიური რეჟიმი სამხედრო–პოლიციურ ხასიათს ატარებდა. ქვეყანაში დამყარდა სრული უკანონობა. რუსი სამხედროები და მოხელეები ყოველნაირად მარცვავენდნენ და ავიწროვებდნენ ხალხს, ხოლო იმათ, ვინც თუნდაც მცირედენ პროტესტს გამოხატავდა, სასტიკად სჯიდნენ. ამან აღმოსავლეთ საქართველოში რამოდენიმე ანტირუსული გამოსვლა გამოიწვია, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1804 და 1812–1813 წლების შეიარაღებული აჯანყებები. ამ გამოსვლებს სათავეში ედგნენ ქართული სამეფო ოჯახის ცალკეული წარმომადგენლები, რომლებსაც ბაგრატიონთა მონარქიის აღდგენის იმედი ჰქონდათ. რუსეთის ჯარებმა ძალთა დიდი დამაბვის ფასად მოახერხეს ამ აჯანყებების ჩახშობა, მაგრამ მიღებულმა გამოცდილებამ აიძულა რუსეთის მთავრობა რამდენადმე შეერბილებინა თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ და აღეკვეთა მოხელეთა შეუზღუდავი თვითნებობა. ამასთან, ქართლ–კახეთის სამეფო სახლის წევრები რუსეთში იყვნენ გასახლებულნი.

აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონების შემდეგ მეფის რუსეთი შეუდგა ამიერკავკასიაში თავისი სამფლობელოების გაფართოვებას. ირანთან ორი ომის შედეგად რუსეთის ხელში გადავიდა ჩრდილო აზერბაიჯანი და აღმოსავლეთ სომხეთი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მისი შეერთება რუსეთმა განახორციელა ორ ეტაპად: ჯერ მან თავისი პროტექტორატის ქვეშ მოაქცია ადგილობრივი პოლიტიკური წარმონაქმნები (1803 წელს - სამეგრელოს სამთავრო, 1804 წელს - იმერეთის სამეფო, 1810 წელს - გურიისა და აფხაზეთის სამთავროები, 1833 წელს - სვანეთის სამთავრო), ხოლო შემდეგ თანდათანობით გააუქმა ისინი, მათი ტერიტორიების სრული ანექსიით (იმერეთი - 1810 წელს, გურია - 1828 წელს, სამეგრელო - 1857 წელს, სვანეთი - 1858 წელს, აფხაზეთი - 1864 წელს).

იმერეთის სამეფოს გაუქმება რუსეთის ხელისუფლებამ მოახერხა მხოლოდ პირდაპირი სამხედრო აგრესიის შედეგად. იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II (1789-1810) იძულებული გახდა ოსმალეთში გაქცეულიყო, სადაც გარდაიცვალა 1815 წელს.

ცარიზმის დიდმპყრობელურმა პოლიტიკამ, კერძოდ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ, იმერეთსა და გურიაში 1819-1820 წლებში დიდი აჯანყება გამოიწვია, მაგრამ აჯანყებულები დამარცხდნენ რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში. მათი სოფლები განადგურებული და გადამწვარი იქნა. მიუხედავად ამისა გურიაში 1841 წელს ახალი ანტირუსული აჯანყება მოხდა, რომელიც ასევე სასტიკად იყო ჩახშობილი.

პერმანენტულ შეიარაღებულ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი აფხაზეთშიც (განსაკუთრებით 1821, 1824, 1840-1842, 1866, 1877 წლებში). გარდა ამისა, ჩრდილო-დასავლეთის აფხაზური ტომები ფაქტობრივად არ დამორჩილებიან რუსებს, მუდმივად ებრძოდნენ მათ და ამ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ (1864) ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდნენ. აფხაზთა მასობრივ გადასახლებებს თურქეთში ადგილი ჰქონდა აგრეთვე 1866 და 1877 წლების აჯანყებათა ჩახშობის შემდეგ.

რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად რუსეთის იმპერიაში შევიდა (და, ამრიგად, საქართველოს დაუბრუნდა) თურქების მიერ წინა საუკუნეებში დაპყრობილი სამცხე-ჯავახეთი, მთავარი ქალაქით ახალციხე (1829), აჭარა და ზოგიერთი სხვა ოლქი ქ. ბათუმით (1878). საქართველოსათვის ამ თავისთავად დადებით ფაქტებს თან სდევდა უარყოფითი მოვლენებიც. კერძოდ, ახლადშემოერთებულ მიწებზე მცხოვრები ათეულობით ათასი მუსლიმანი ქართველი აიყარა მშობლიური ადგილებიდან და გადასახლდა ოსმალეთის იმპერიის შიდა რაიონებში. მათი წასვლის ძირითადი მიზეზი იყო რუსეთის ადმინისტრაციის ქვეშ ცხოვრების უნდომობა. მათ ადგილზე მეფის მთავრობა ასახლებდა ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომხებსა და სხვა ხალხების წარმომადგენლებს, რომლებიც რუსეთის ერთგულ ელემენტებად ითვლებოდნენ.

ამრიგად, 1801-1878 წლებში საქართველო თითქმის მთლიანად გაერთიანდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ამის შემდეგ, ისტორიული ქართული მიწების მხოლოდ უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი რჩებოდა რუსეთის ფარგლებს გარეთ.

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში. ეროვნული და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი ეტაპები (XIX ს-ის შუა ხანები - 1917 წ.)

XIX ს-ის 30-50-იანი წლებიდან საქართველოში ძირითადად სტაბილური სიტუაცია მყარდება, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების გაძლიერებით. ვითარდება სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა. მნიშვნელოვნად იზრდება მოსახლეობის რიცხვი, როგორც ბუნებრივი მატების ხარჯზე, ასევე მეფის მთავრობის კოლონიზაციური პოლიტიკის შედეგად, რომელიც თავისი სოციალური დასაყრდენის

განმტკიცების მიზნით ფართოდ აწარმოებდა საქართველოში რუსი და უცხოელი კოლონისტების გადმოსახლებას.

ამ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს ფეოდალური ნატურალური მეურნეობის რღვევა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობების ზრდა. საქართველოს სამრეწველო საწარმოთა მეპატრონენი ძირითადად რუსი და უცხოელი კაპიტალისტები იყვნენ. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში ბატონყმობის არსებობა აფერხებდა. XIX ს-ის 30-40-იან წლებში ამ მანკიერი გადმონაშთის ერთგვარი გაძლიერებაც კი ხდება, ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება ქართველი მემამულეების გადაბირების მიზნით ყველანაირად ხელს უწყობდა გლეხებზე მათი ბატონობის განმტკიცებას. ამასთან ქართული თავადაზნაურობა უფლებებით გათანაწილებული იქნა რუსულთან. გარკვეულწილად შეიცვალა მმართველობის ფორმაც ამიერკავკასიაში. 1840 წლიდან აქ შემოდებული იყო ისეთივე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოები, როგორც არსებობდა რუსეთის შიდა პროვინციებში. დაუშვეს შეზღუდული კულტურული ავტონომია (გაჩნდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღორძინდა ქართული თეატრი და სხვ.). ასეთი პოლიტიკით ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ 40-იანი წლებიდან ქართული თავადაზნაურობა მთლიანობაში გაუერთგულდა რუსეთის მეფეს. ქართველი არისტოკრატები კარიერას იკეთებდნენ უპირველეს ყოვლისა სამხედრო სამსახურში. ისინი მსახურობდნენ როგორც რუსეთის რეგულარულ არმიაში, ასევე, ბუნებრივია, ირეგულარულ ქართულ მილიციაში, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის კავკასიურ ომებში მთელი XIX ს-ის განმავლობაში.

50-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთში ძლიერდება ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების კრიზისი. ეს მოვლენა მალე საქართველოზეც ვრცელდება. ადგილი აქვს გლეხთა გამოსვლებს მემამულეთა წინააღმდეგ; განსაკუთრებით დიდი აჯანყება მოხდა სამეგრელოში 1857 წელს. ამან მთავრობა აიძულა საქართველოშიც დაეწყო რუსეთის მსგავსად საგლეხო და სხვა რეფორმების გატარება. 1864-1871 წლებში საქართველოში ბატონყმობა გაუქმებული იქნა.

XIX ს-ის 60-70-იანი წლები გარდატეხის ხანაა საქართველოს ისტორიაში. რეფორმების შედეგად აქ იწყება კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება. შენდება ფაბრიკები და ქარხნები, ფართოდ იშლება სასარგებლო წიაღისეულის (ქვანახშირი და მარგანეცი) მოპოვება, ვითარდებიან ქალაქები – თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და სხვ. იწყება რკინიგზების მშენებლობა. მიუხედავად ამისა, საქართველო ძირითადად ისევ აგრარულ ქვეყანად რჩებოდა, თუმცა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება სოფლადაც ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა.

რუსეთთან შეერთებამ საქართველო XIX ს-ის ევროპულ კულტურასთან აზიარა, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის შემდგომ განვითარებაზე. 60-70-იან წლებში ლიტერატურულ-საზოგადოებრივ სარბიელზე გამოდის ახალი პროგრესულ-დემოკრატიული მიმდინარეობის თაობა, რომელსაც განათლება ჰქონდა მიღებული რუსეთის უნივერსიტეტებში და კრიტიკულად იყო განწყობილი საქართველოში არსებული კოლონიური რეჟიმისა და ფეოდალური გადმონაშთებისადმი. ამ თაობის ლიდერი იყო მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, თავადი ილია ჭავჭავაძე (1837-1907). მისი თაოსნობით გაშლილი მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მშვიდობიანი ფორმა იყო, რომელმაც შეცვალა წინა პერიოდის ლოკალური შეიარაღებული აჯანყებები.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების გამოცოცხლებამ XIX ს-ში მხატვრულ ძალთა ახალი აღმავლობა გამოიწვია, რაც უწინარეს ყოვლისა ქართული ლიტერატურის განვითარებაში გამოვლინდა. საუკუნის პირველ ნახევარში აქ ჯერ კიდევ მძლავრობდა კლასიკური ტრადიციის ინერცია, მაგრამ უკვე თანამედროვე ევროპული და რუსული პოეტიკის ზეგავლენით. ამ ეპოქის ქართული რომანტიზმის კორიფეთაგან აღსანიშნავია ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846),

გრიგოლ ორბელიანი (1804-1883), ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845), რომლებიც მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები იყვნენ.

XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში წამყვანია პატრიოტული მოტივი, რაც პირდაპირ ეხმიანებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის იდეებს. იმ პერიოდის უდიდეს ქართველი მწერლები არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი (1840-1915), ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1993), ვაჟა-ფშაველა (1861-1915).

1881 წელს რევოლუციონერების მიერ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ ქვეყანაში გამეფდა პოლიტიკური რეაქცია. ხელისუფლება დაადგა იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა და მათ შორის ქართველი ხალხის გაძლიერებული ეროვნული ჩაგვრისა და რუსიფიკაციის გზას. უკიდურესად შეიზღუდა ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. სკოლებში აიკრძალა არა მარტო ქართულ ენაზე სწავლება, არამედ ქართულად ლაპარაკიც კი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოფიციალური დოკუმენტებიდან ამოიღეს სიტყვა “საქართველო”. მის ნაცვლად იხმარებოდა “თბილისის გუბერნია” და “ქუთაისის გუბერნია”. ამ პოლიტიკას ამართლებდნენ მცდარი თეორიით თითქოს მცირე ერების დრო უკვე წავიდა და ისინი ისტორიულად განწირულნი იყვნენ დიდ ხალხებთან ასიმილაციისათვის.

ასეთ პირობებში ი.ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრებმა გაბედულად გაილაშქრეს ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ისინი იბრძოდნენ ქართველი ერის კონსოლიდაციისა და მისი ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებისათვის. ხელისუფლებამ ვერ შეძლო განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა. პირიქით, ეს მოძრაობა უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა, თუმცა მას პოლიტიკური აჯანყების ფორმა არ მიუღია.

90-იან წლებში საქართველოში იწყება მარქსიზმის პროპაგანდა, რუსეთის 1905–1907 წლების რევოლუციის დროს საქართველო რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ხდება მთელი რუსეთის მასშტაბით. აქ ადგილი აქვს როგორც გლეხთა გამოსვლებს, ასევე ქალაქის მუშათა მოძრაობას. თბილისში წარმოებდა ბარიკადული ბრძოლები, შეიარაღებულ გამოსვლები მოხდა დასავლეთ საქართველოს სოფლებშიც. მთავრობის მიერ გამოგზავნილმა დამსჯელმა რაზმებმა რევოლუციის ჩახშობის პროცესში არაერთი სოფელი გადაწვეს.

ქართველ რევოლუციონერთა დიდი ნაწილი 1905–1907 წლებში სოციალური ლოზუნგებით გამოდიოდა, მაგრამ ისინი იბრძოდნენ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგაც. გარდა ამისა, რევოლუციონერ-დემოკრატებში იყო მეორე მიმდინარეობაც, რომელიც პრიორიტეტულ ამოცანად საქართველოს განთავისუფლებას ხედავდა. მათგან ზოგი მოითხოვდა რუსეთისაგან საქართველოს სრულ გამოყოფას, უმრავლესობა კი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დემოკრატიულ რუსეთთან ავტონომიურ-ფედერალური კავშირის მომხრე იყო.

ამრიგად, XX ს-ის დასაწყისის რევოლუციური მოძრაობა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი ეტაპია.

ეროვნული მოტივი უფრო ძლიერად გამოიკვეთა საქართველოში ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, რომელიც ისევე როგორც რუსეთში 1912 წლიდან დაიწყო. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დაწყებამ ეს პროცესი დროებით შეანელა. გახანგრძლივებულმა ომმა საქართველოში ისევე როგორც მთელს რუსეთში, მეურნეობის ნგრევა გამოიწვია. უკვე ომის პირველ წელს საქართველოს მრეწველობის რიგმა დარგებმა წარმოება 40–50 პროცენტით შეამცირეს. შემდეგ წლებში მდგომარეობა უფრო დამძიმდა. მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი (200 ათასი კაცი) არმიაში იყო მობილიზებული. ცენტრალური სახელმწიფოების მხარეზე ომში თურქეთის ჩაბმამ საქართველო ფრონტისპირა ქვეყნად აქცია. ომის შედეგად წარმოქმნილმა კრიზისმა რუსეთში კვლავ გამოიწვია რევოლუციური

განწყობილებების ზრდა, რაც დაგვირგვინდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციით, რომელმაც წერტილი დაუსვა ქვეყანაში მონარქიის არსებობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროებითი აღდგენა და რუსეთის მიერ მისი ხელახალი დაპყრობა (1918–1921 წწ.)

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში დემოკრატიული გარდაქმნები დაიწყო. საქართველოში ამისი ერთ–ერთი შედეგი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (1917 წლის მარტი). მაგრამ ახალი რუსეთის სათავეში მოსულმა დროებითმა მთავრობამ ვერ გადაწყვიტა ის კარდინალური საკითხები, რაც განსაკუთრებით აღელვებდა მოსახლეობის ფართო ფენებს: ზავის საკითხი (ქვეყანა ისევ აგრძელებდა მსოფლიო ომში მონაწილეობას), მიწის საკითხი და სხვ. ყოველივე ეს კარგად გამოიყენეს ბოლშევიკებმა (კომუნისტებმა) ლენინის მეთაურობით და 1917 წლის ოქტომბერში დროებითი მთავრობა დაამხეს. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა არ ცნეს ამ გადატრიალების კანონიერება. 1917 წლის 15 ნოემბერს მათ შექმნეს საკუთარი მთავრობა – ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ფაქტობრივად, დაიწყო ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის პროცესი.

ეს პროცესი იურიდიულად დასრულდა 1918 წლის 9 (22) აპრილს, როდესაც გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, ცენტრით თბილისში. ახლადშექმნილი რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლად მრავალპარტიული შემადგენლობის სეიმი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ქართველი სოციალ–დემოკრატი ნ. ჩხეიძე. მისი მოადგილეები იყვნენ სომხური და აზერბაიჯანული პარტიების წარმომადგენლები.

ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ამიერკავკასიური ხელისუფლების წინაშე იდგა, იყო თურქეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი; გრძელდებოდა მსოფლიო ომი, რუსეთის არმია, რომელიც თურქეთის ფრონტზე მოქმედებდა, დაიშალა, ჯარისკაცებმა პოზიციები მიატოვეს და სახლებში დაბრუნდნენ, ხოლო შეტევაზე გადმოსულ თურქეთის არმიას ახლადჩამოყალიბებული ქართულ–სომხური რაზმები ვერ აკავებდნენ. აზერბაიჯანელებმა უარი განაცხადეს ერთმორწმუნე და ეთნიკურად მონათესავე თურქებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე.

სწორედ თურქეთთან საზავო მოლაპარაკებების დროს გამოჩნდა ყველაზე ნათლად თუ რა არამყარი იყო ამიერკავკასიის გაერთიანება. სეიმის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ დეპუტაციებს შორის მუდმივი უთანხმოება სუფევდა. აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები ფაქტობრივად თურქეთს ემხრობოდნენ, რომელმაც ამიერკავკასიას დიდი ტერიტორიული მოთხოვნები წაუყენა. ქართველებმა და სომხებმა კი ორიენტაცია გერმანიაზე აიღეს, რათა მას გავლენა მოეხდინა თავის მოკავშირეზე. მართლაც, გერმანიის ჩარევით საქართველო გადაურჩა თურქულ ოკუპაციას. თურქებმა დაიკავეს მხოლოდ მისი სამხრეთ–დასავლეთი ნაწილი ქ. ბათუმით.

ცხოვრებამ უჩვენა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უპერსპექტივო წარმონაქმნი იყო. მან ორი თვეც ვერ იარსება და შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს სეიმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ოფიციალურად აღიარა ფედერაციის გაუქმება. იმავე დღის საღამოს კი შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზეც საქართველო გამოცხადდა სუვერენულ დემოკრატიულ რესპუბლიკად. შემდეგი ორი დღის განმავლობაში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისს აღდგა 117 წლის წინ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა. ქართველი ხალხი ამ ფაქტს საყოველთაო ზეიმით შეეგება. ეს ისტორიული მოვლენა XIX–XX სს–ის დამდეგის საქართველოს ეროვნული და სოციალურ–განმათავისუფლებელი მოძრაობის დამაგვირგვინებელი შედეგი იყო. 26 მაისი საქართველოში დღესაც აღინიშნება, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დღე.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა კოალიციური იყო, თუმცა მის შემადგენლობაში ჭარბობდნენ სოციალ–დემოკრატები. სოციალ–დემოკრატიული პარტია იმ პერიოდის საქართველოში ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. ამ პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანიას (1868–1953) საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახდა.

ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა მისი მეურნეობა, ხოლო რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ მდგომარეობა უფრო დაამძიმა. მოშლილი იყო მრეწველობა და ტრანსპორტი, განსაკუთრებით ჭირდა სურსათი. ხელისუფლებას კი დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის არ გააჩნდა არავითარი თანხები მყარ ვალუტაში.

საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე 28 მაისს სცნო გერმანიამ, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში ცენტრალური სახელმწიფოების დამარცხების შემდეგ საერთაშორისო აღიარების საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. საქართველოს მთავრობამ ამ თხოვნით მიმართა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას. 1920 წელს თურქეთის, გერმანიისა და არგენტინის კვალდაკვალ საქართველო დე ფაქტო ცნეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ. ხოლო მას შემდეგ, რაც 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა საბჭოთა რუსეთმა, მოხდა რესპუბლიკის დე ფაქტო ცნობაც ანტანტის ქვეყნებისა და რიგი სხვა სახელმწიფოების მიერ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქვეყანას პირველ ხანებში არ ცნობდა რუსული “თეთრი მოძრაობა”, რომელიც გამოდიოდა “ერთიანი და განუყოფელი” რუსეთის ლოზუნგით. მოუწესრიგებელი იყო აგრეთვე სასაზღვრო საკითხები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული კამათი ჰქონდა აზერბაიჯანთან ზაქათალის ოლქის გამო. სომხეთის რესპუბლიკა კი პრეტენზიას აცხადებდა საქართველოს სამხრეთ რაიონებზე, სადაც მოსახლეობის ნაწილი სომხური იყო. 1918 წლის დეკემბერში სომხეთის ჯარები მოულოდნელად შემოიჭრნენ საქართველოში, მაგრამ ქართველთა მიერ მოგერიებულნი იქნენ. ამიერკავკასიაში ინგლისური სარდლობის ჩარევით საბრძოლო მოქმედებები შეწყვეტილი იქნა.

სადავო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში შეიქმნა ე.წ. “ნეიტრალური ზონა” შერეული ქართულ–სომხური ადმინისტრაციით. საქართველოს სრული იურისდიქცია ამ კუთხეში მხოლოდ 1920 წლის ნოემბერში აღდგა. 1918–1920 წლებში ლოკალური სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა აგრეთვე სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთელი ოსებით დასახლებულ ტერიტორიებზე და სხვა რეგიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებს. ამ გამოსვლების მნიშვნელოვანი ნაწილი კომუნისტების აგიტაციით იყო გამოწვეული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სახელმწიფოს ჩამოყალიბების ყველაზე ძნელი პირველი პერიოდის სირთულეები მთლიანობაში დაძლეული იქნა. 1920 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში უკვე აშკარად შეიმჩნევა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ნიშნები. საქართველოს დაუბრუნდა ბათუმის ოლქი, რომელიც მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ ერთ ხანს ინგლისელებს ჰქონდათ დაკავებული. აღმავლობას იწყებს მეცნიერება და კულტურა. თბილისში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები – უნივერსიტეტი და კონსერვატორია. შეიძლება ითქვას რომ თუ არა ახალი ინტერვენცია და ანექსია, საქართველო

თავს დააღწევდა კრიზისს და გააგრძელებდა დამოუკიდებელი განვითარების გზას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კომუნისტებმა 1920 წლისათვის რუსეთში გაანადგურეს “კონტრრევოლუციის” მთავარი ძალები და შეუდგნენ იმპერიის ძველი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას. იმავე წელს მათ ძალით გაასაბჭოვეს აზერბაიჯანი და სომხეთი. ასე რომ 1921 წლის დამდეგისათვის საქართველო, თავისი სახმელეთო საზღვრების პერიმეტრის 78 პროცენტით უკვე საბჭოთა რესპუბლიკების რკალში იყო. მხოლოდ სამხრეთ–დასავლეთიდან ჰყავდა მეზობლად ქემალისტური თურქეთი.

როგორც ზემოდ აღინიშნა, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებობდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა აღიარა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამ იკისრა თავის ტერიტორიაზე კომუნისტებისათვის ლეგალური მუშაობის შესაძლებლობის მიცემა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს ჭირდებოდა მხოლოდ ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად და საქართველოში თავისი აგენტურისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისა და ამიერკავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გასაბჭოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში საქართველოსათვის მეტად ნეგატიური როლი შეასრულეს რუსეთში მაღალ თანამდებობებზე მყოფმა ქართველმა კომუნისტებმა – ი. სტალინმა, ს. ორჯონიკიძემ და სხვ.

1921 წლის 12 თებერვალს სომხეთთან მოსაზღვრე რაიონში კომუნისტებმა მოაწყვეს გლეხთა აჯანყების იმიტაცია, 16 თებერვალს კი “აჯანყებულთა” დახმარების საბაზით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ. მოწინააღმდეგის მთავარი დაჯგუფება – მეთერთმეტე არმია – უტევდა თბილისს სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან. გარდა ამისა, ცალკეულმა შენაერთებმა და ქვედანაყოფებმა იერიში მოიტანეს აფხაზეთსა და ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელებზე. თბილისის მისადგომებთან ცხარე ბრძოლის შემდეგ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი დაეცა. ქართული ჯარები სხვა მიმართულებებზეც უკან იხევდნენ. სოციალ–დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ მოახერხა ჭეშმარიტი საერთო–სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზება. მდგომარეობა გართულდა თურქეთის საზღვარზეც. 21 თებერვალს ანკარის მთავრობამ საქართველოს ულტიმატური ფორმით მოსთხოვა ქალაქების – ართვინისა და არტაანის დაცლა. ეს მოთხოვნა შესრულებული იქნა, მაგრამ თურქები არ შეჩერებულან და მალე ბათუმსა და ახალციხეს მოადგნენ. 18 მარტს საქართველოს მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ ქალაქში დარჩენილმა ქართულმა სამხედრო ნაწილებმა თურქებს ბრძოლა გაუმართეს და ბათუმი შეინარჩუნეს. თურქების უკანდახვევის შემდეგ ბათუმში რუსები შევიდნენ. 19 მარტისათვის საქართველოს ყველა ძირითად ცენტრებში უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. მანამდე კი 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ართვინი, არტაანი და ზოგი სხვა ტერიტორია თურქეთის რესპუბლიკას გადაეცა.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და განახორციელა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია. ქვეყანაში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა.

საქართველო 1921–1945 წლებში.

კომუნისტური სისტემის განმტკიცება

ლენინური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კომუნისტები აქტიურად შეუდგნენ თავის მოწინააღმდეგე ძალთა დათრგუნვას და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას. გაუქმებულად გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები,

სახელმწიფო და არჩევითი ორგანოები, არაპროლეტარული პარტიები. მოისპო მიწაზე კერძო საკუთრება, სახელმწიფოს ხელში გადავიდა მთელი მრეწველობა, რკინიგზები, ფლოტი, ბანკები და სხვ. დამსჯელი ორგანოები მასობრივად ხვრეტდნენ ან გადასახლებაში აგზავნიდნენ რეჟიმის მოწინააღმდეგეებს და უბრალოდ ეჭვმიტანილ პირებსაც. განსაკუთრებით, ყოფილ ოფიცრებს, თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ათეიზმის დანერგვის მიზნით კომუნისტები ანგრევდნენ ეკლესიებს, ხოცავდნენ სასულიერო პირებს; მარტო 1922–1923 წლებში საქართველოში 1500 ეკლესია იქნა დანგრეული.

სისხლიანი ტერორის მიუხედავად 1921-1924 წლებში საქართველოში ადგილი ჰქონდა ანტიკომუნისტურ გამოსვლებს. მაგრამ ისინი დაქსაქსულ ხასიათს ატარებდნენ და ხელისუფლება ადვილად ახერხებდა მათ ლოკალიზებასა და ჩახშობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1924 წლის აჯანყება. აჯანყებულებს კავშირი ჰქონდათ ემიგრაციაში მყოფ მთავრობასთან. დაგეგმილი იყო ერთდროული გამოსვლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ კომუნისტებმა მოახერხეს შეთქმულთა რამდენიმე ლიდერის წინასწარ დაპატიმრება. ამიტომ დაწყებულ აჯანყებას ორგანიზებული ხასიათი არ მიეცა და იგი სასტიკად იყო ჩახშობილი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ოფიციალურად ეხლა ასე ეწოდებოდა ქვეყანას) თავდაპირველად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მაგრამ მის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი იდგა, ხოლო ქართველი კომუნისტები მხოლოდ მოსკოვის კარნახით მოქმედებდნენ. მოსკოვშივე იქნა შემუშავებული საბჭოთა საქართველოს შემდგომი სახელმწიფო მშენებლობის გეგმა, რასაც უნდა გაეადვილებინა მისი ჩართვა ერთიანი საბჭოეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში.

საქართველოს სსრ, ფაქტობრივად, ფედერაციულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მის შემადგენლობაში 1921 წლის ბოლოს სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე შევიდა აფხაზეთის სსრ (1931 წლიდან – ავტონომიური რესპუბლიკა). გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (1921) და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (1922). თვით საქართველოს სსრ, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად, ლენინის წინადადებით 1922 წელს გაერთიანებული იყო ამიერკავკასიის ფედერაციაში, რომელიც იმავე წლის ბოლოს შექმნილ სსრ კავშირში შევიდა. 1936 წელს ამიერკავკასიის ფედერაცია გააუქმეს, ხოლო საქართველო უკვე უშუალოდ იქნა შეყვანილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

20-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა სახელმწიფოში გამალებული ტემპებით იწყება ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომლის ნამდვილი მიზანი იყო არსებული რეჟიმის მაქსიმალურად გაძლიერება. საქართველოში შენდება მრავალი ფაბრიკა და ქარხანა, ჰიდროელექტროსადგური, შახტები, გაიზარდა მანგანუმისა და ქვანახშირის ამოღება. სოფლის მეურნეობაში ფართოდ ინერგება ტექნიკური კულტურები; განსაკუთრებით, ჩაი და ციტრუსები, რომლებითაც გამიზნული იყო უზარმაზარი საბჭოთა ბაზრის დაკმაყოფილება. მაგრამ დამკვეთურ ტემპებში აგებული საწარმოები დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებდნენ, სახნავ-სათესი ფართობების ზრდა მიმდინარეობდა ტყეების მასობრივი გაჩეხვის ხარჯზე. მთელი რეგიონების მონოკულტურებისათვის დათმობამ, საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას ტრადიციული ელფერი დაუკარგა.

კომუნისტური დოგმატიკა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების მთავარ პირობად ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციასთან ერთად თვლიდა კულტურულ რევოლუციას. ამიტომ 20–30-იანი წლებში საქართველოში სწრაფად იზრდება საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა. ვითარდება მეცნიერება, ხელოვნება. 1940 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მაგრამ სწორედ ამ დროიდან შემოქმედებით ინტელიგენციას, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს უკიდურესად შეეზღუდათ

თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობა. ყველაფერი დაუმორჩილეს კომუნისტური დიქტატურის იდეოლოგიას. საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი მოსახლეობის საბოლოო დაშინებისა და სულიერი გატეხვის მიზნით სტალინურმა ხელმძღვანელობამ 30-იანი წლების მეორე ნახევარში ფართო გასაქანი მისცა რეპრესიებს, რომლებსაც კომუნისტური რეჟიმის არსებობის პირველივე დღეებიდან ჰქონდათ ადგილი, მაგრამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღეს 1937–1938 წლებში. საქართველო სსრ კავშირის ერთ-ერთი იმ რეგიონთაგანი იყო, სადაც რეპრესიული მანქანა განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა. აღნიშნული წლების განმავლობაში აქ ათასობით უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს, ხოლო ათეულობით ათასი გადაგზავნილი იქნა “გულაგის” ბანაკებში, სადაც მრავალმა მათგანმა ჰპოვა მოწამეობრივი აღსასრული. რეპრესირებულთა შორის იყვნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მათ შორის ქართული კულტურის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები როგორებიც იყვნენ მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, პოეტები ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, მეცნიერი-ფილოლოგი გრიგოლ წერეთელი, დირიჟორი ევგენი მიქელაძე და სხვ.

მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა სოფლადაც, სადაც საყოველთაო კოლექტივიზაციას, რომელიც ამ პერიოდში დასრულდა, ათასობით გლეხის სიცოცხლე შეეწირა.

30-იანი წლების პოლიტიკურმა რეპრესიებმა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შესანიშნავი კადრები იმსხვერპლეს, რასაც არ შეიძლება დარტყმა არ მიეყენებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის, მაგრამ სწორედ ამ რეპრესიების წყალობით საზოგადოებაში დანერგილმა ყოვლისმომცველმა შიშმა უფრო განამტკიცა ავტორიტარული სტალინური რეჟიმი და საშუალება მისცა მას მოეხდინა საბჭოთა კავშირის მთელი ძალების ტოტალური მობილიზება გერმანიასთან ომში, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო. საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები პრაქტიკულად არ ყოფილა (მხოლოდ 1942 წლის ზაფხულში შემოიჭრნენ გერმანელები აფხაზეთში და მცირე ხნით დაიკავეს იქ ერთი სოფელი), მაგრამ ქვეყანამ ოთხწლიან ომში საერთო საქმისათვის თავისი დემოგრაფიული და მატერიალური რესურსების მაქსიმუმი გაიღო.

საქართველოში, რომლის მოსახლეობა 1940 წელს შეადგენდა 3 612 ათას ადამიანს, მობილიზებული იქნა და მოქმედ არმიაში გაიგზავნა 700 ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან 300 ათასზე მეტი უკან არ დაბრუნებულა. საქართველოს წარგზავნილთა ნაწილი იბრძოდა ეროვნულ ქართულ დივიზიებში, უმრავლესობა კი მრავალეროვანი საბჭოთა არმიის დანარჩენ ნაწილებსა და შენაერთებში იხდოდა მხედრულ ვალს.

ქართველები იბრძოდნენ აგრეთვე პარტიზანულ რაზმებში, როგორც სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ასევე ნაცისტების მიერ ოკუპირებული ევროპის ქვეყნებში. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ქართველთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც გერმანიის მხარეზე აღმოჩნდა და მისი დროშის ქვეშ იბრძოდა. მათგან ბევრი მოქმედებდა იმ მოტივითა და შეგნებით, რომ გერმანიის გამარჯვება საქართველოს განთავისუფლებას მოუტანდა. მაგრამ ასეთთა რიცხვი სრულიად უმნიშვნელო იყო იმ ლეგიონებთან შედარებით, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ სსრ კავშირის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა არმიის ქართველ მეომართა უმრავლესობას გულწრფელად სწამდა, რომ ისინი იცავდნენ “სოციალიზმის მონაპოვარს”, რომელიც მაშინ კომუნისტური პროპაგანდის მიერ უმაღლესი ღირებულების რანგში იყო აყვანილი. ამასთან ქართველმა ჯარისკაცმა იცოდა, რომ სადაც არ უნდა ებრძოლა მას, მოსკოვთან, უკრაინაში თუ ვოლგაზე, იგი ამავე დროს საქართველოსაც იცავდა ომის საშინელებებისაგან და იმ მონობისაგან, რაც ჰიტლერულ რეჟიმს მოჰქონდა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებისათვის.

იგივე მოტივები ამოძრავებდათ ზურგის მშრომელებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში. საქართველოს მთელი ეკონომიკა ფრონტისათვის უკიდურესი დამაბავით მუშაობდა. კვალიფიცირებული მუშახელის დიდი ნაწილის არმიაში გაწვევის

მიუხედავად რესპუბლიკის მანქანათმშენებელმა და ლითონდასამუშავებელმა საწარმოებმა გააორკვეცეს პროდუქციის გამოშვება. ომში წასული მუშების მაგივრად ჩარხებთან მათი ცოლები, დები, შვილები დადგნენ. გამოშვებული იქნა შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და ფორმის ტანსაცმლის დიდი რაოდენობა; აშენდა 200 ახალი საწარმო. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ. საქართველომ შეიფარა აგრეთვე მრავალი ათასი ევაკუირებული ადამიანი ნაცისტების მიერ დროებით ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიებიდან, რესპუბლიკის სახელგანთქმულ კურორტებსა და სამედიცინო დაწესებულებებში კი მკურნალობას გადიოდნენ დაჭრილი საბჭოთა მებრძოლები.

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ დიდ გამარჯვებაში, რომელიც ფაშიზმთან ბრძოლაში მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა.

საქართველო 1946–1992 წლებში. კომუნისტური სისტემის კრიზისი. სსრ კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ რამოდენიმე წელიწადში ომამდელ დონეს გადააჭარბა. მწყობრში ჩადგა ახალი მსხვილი საწარმოები, ჰიდროელექტროსადგურები, შახტები, სარწყავი არხები და სხვ. მაგრამ ამასთან ერთად ხელისუფლება კვლავ მძიმე იდეოლოგიური პრესის ქვეშ ამყოფებდა საზოგადოებას. ისევ იწყება რეპრესიების ახალი ტალღა, რომელიც მხოლოდ სტალინის სიკვდილმა შეაჩერა (1953).

ახალმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომელსაც სათავეში ედგა ნ. ხრუშჩოვი, შეარბილა შიდაპოლიტიკური რეჟიმი, ხოლო 30–40–იან წლებში ხელისუფლების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული მარტო სტალინს დააბრალა. არაფერი ითქვა თვით საბჭოური სისტემის მანკიერებაზე. კომპარტიის XX ყრილობაზე 1956 წლის თებერვალში სტალინის პიროვნების კულტის მხილება არსებითად სტალინის წინააღმდეგ პირად ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. ანტისტალინური კამპანია იღებდა ისეთ შეფერადებას, თითქოს მის რეპრესიულ აქციებს, გარკვეულწილად, დიქტატორის ქართული წარმომავლობა განაპირობებდა.

სტალინის კრიტიკა განსაკუთრებით მწვავედ განიცადა ქართველმა ახალგაზრდობამ, რომელსაც მანამდე ოფიციალური იდეოლოგია სტალინისადმი ფანატიკურ თაყვანისცემას აჩვენებდა. ამასთან შეურაცხყოფილი იყო ქართველთა ეროვნული გრძნობებიც. 1956 წლის 3 მარტს თბილისის უმაღლეს სასწავლებელში დაიწყო მანიფესტაციები, 5 მარტისათვის კი სიტუაცია ქალაქში უმართავი გახდა. ეწყობოდა დემონსტრაციები და მიტინგები, სადაც შეკრებილნი აკრიტიკებდნენ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და მოითხოვდნენ სტალინის რეაბილიტაციას. ამ გამოსვლებში არაფერი იყო ანტისაბჭოური, მაგრამ ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო ეგზალტირებული ახალგაზრდების პროტესტი. 9 მარტს საბჭოთა ჯარებმა თბილისის ცენტრში მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს. დაიღუპა 100–ზე მეტი და დაიჭრა 300–მდე ადამიანი (ზუსტი ციფრები უცნობია).

მარტის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებმა, ფაქტობრივად, დაკარგეს კომუნისტური იდეოლოგიის რწმენა. 60–იან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყო ეპოქა, რომელსაც შემდეგ “უძრაობის” პერიოდი ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ მიმდინარეობდა “კომუნიზმის” გრანდიოზული მშენებლობები, სხვადასხვა რანგის პარტიული და სახელმწიფო ფუნქციონერები უპატაკებდნენ ზემდგომ ორგანოებს ახალ-ახალი მიღწევების შესახებ, სინამდვილეში მათი სიტყვები საქმის რეალურ მდგომარეობას სულ უფრო ცილდებოდა. გაიზარდა კორუფცია. ოფიციალური პროპაგანდისა უკვე აღარავის სჯეროდა.

სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანილი თვალთმაქცობა და სიყალბე მორალურად რყენიდა საბჭოთა საზოგადოებას. 60-იანი წლებიდან საქართველოში, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ფართოდ იკიდებს ფეხს ე.წ. “ჩრდილოვანი ეკონომიკა”, რაც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ქვეყანაში ეკონომიკის ობიექტური კანონების უგულებელყოფის შედეგი იყო.

არსებული სისტემის წინააღმდეგ საზოგადოების მოწინავე ნაწილის პროტესტის ყველაზე რადიკალური გამოხატულება იყო დისიდენტური მოძრაობა, რომელიც საბჭოთა კავშირში 60-იანი წლებიდან იწყება. ქართველი დისიდენტებიდან აღებული კურსის ერთგულებითა და სულიერი სიმტკიცით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მერაბ კოსტავა (1938–1989). იგი არაერთხელ იყო დაპატიმრებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ, სასჯელს იხდიდა რუსეთის შორეულ ბანაკებში.

80-იანი წლების დამდეგისათვის უმრავლესობისათვის უკვე ნათელი იყო, რომ ძირმომპალ საბჭოთა წყობილებას მომავლის პერსპექტივა არ ჰქონდა. 1985 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა მ. გორბაჩოვმა სცადა რადიკალური რეფორმების გზით დაეძლია კრიზისი. დაიწყო ე.წ. “გარდაქმნა”, მაგრამ ამ პროცესთან დაკავშირებული ლიბერალიზაცია და საჯაროობა საბჭოთა კავშირისათვის ბოთლიდან ამოშვებული ჯინი აღმოჩნდა. გარდაქმნის არქიტექტორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ რკინითა და სისხლით ნაგებ საბჭოთა სისტემას დემოკრატიული თავისუფლებებისადმი იმუნიტეტი არ გააჩნდა და, როგორც შედეგი, დაიწყო ამ სისტემის სწრაფი რღვევა.

საქართველოში გარდაქმნა, პირველ რიგში, ეროვნული მისწრაფებების გაძლიერებით გამოვლინდა. 1987 წელს შეიქმნა პირველი ლეგალურად მომუშავე ნაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაცია – ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. მოკლე ხანში სხვა მსგავსი ორგანიზაციებიც ჩამოყალიბდნენ. ეროვნულ მოძრაობას, რომელმაც 1988 წლისათვის ფართო მასშტაბები მიიღო, სათავეში ჩაუდგნენ ციხეებიდან განთავისუფლებული ქართველი დისიდენტები. მალე დაუფარავად იქნა წამოყენებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგი. საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომელიც გარდაქმნის მიუხედავად პერიოდულად ისევ ცდილობდა ძალისმიერი მეთოდებით მართვას, თბილისის ცენტრში შეკრებილი მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ჯავშანტექნიკა და ჯარები გამოიყვანა. 1989 წლის 9 აპრილს, ღამით, მიტინგი გარეკეს. მოკლული იქნა 20 ადამიანი, მათ შორის უმრავლესობა ქალები. აღსანიშნავია, რომ 9 აპრილის ანგარიშსწორება მოხდა იმ ადგილას, სადაც 1956 წლის 9 მარტს დაიღვარა პირველი სისხლი.

მაგრამ 1989 წელს საერთო სიტუაცია სსრ კავშირში უკვე სრულიად სხვა იყო. 9 აპრილის სისხლიანმა აქციამ აღაშფოთა არა მარტო მთელი საქართველო, არამედ რუსეთის მოწინავე საზოგადოებაც, რომელმაც მტკიცედ გაილაშქრა მომხდარი ფაქტის წინააღმდეგ. საქართველოში იმ დღეებში ადგილი ჰქონდა გასაოცარ ეროვნულ ერთიანობას. ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია.

9 აპრილის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ რესპუბლიკაში ყოველგვარი გავლენა დაჰკარგა. ეროვნული მოძრაობა გახდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა. სამწუხაროდ, ამ მოძრაობის ლიდერთა შორის ერთსულოვნება არ იყო. მ. კოსტავა, რომელიც ცდილობდა ეროვნულ ძალთა ერთიანობის შენარჩუნებას, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი სიკვდილის შემდეგ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები საბოლოოდ გაიყვნენ ორ ბანაკად, რომელთაგან მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით, პირველ რიგში, სარგებლობდა პოლიტიკური ბლოკი “მრგვალი მაგიდა”. ამ ბლოკის აღიარებული ლიდერი იყო ყოფილი დისიდენტი, სპეციალობით ფილოლოგი ზვიად გამსახურდია (1938–1993). სწორედ მისმა პირადმა პოპულარობამ საზოგადოების გარკვეულ წრეებში განაპირობა მრგვალი მაგიდის

დამაჯერებელი გამარჯვება (ამომრჩევლების ხმათა 62%) 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში (პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში 1921 წლის შემდეგ). ასე მშვიდობიანად მოელო ბოლო საქართველოში კომუნისტების მმართველობას.

ზ. გამსახურდია მალე ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში შიდაპოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში სერიოზულად დამძიმდა. გამსახურდიას მოუქნელი, ამბიციური პოლიტიკის გამო უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა ხელისუფლებაში მოსულ მრავალ მაგიდასა და ეროვნულ მოძრაობის ოპოზიციაში დარჩენილ ნაწილს შორის. დაიძაბა ვითარება ავტონომიებშიც, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ეთნიკური უმცირესობები შეშფოთებულნი იყვნენ გამსახურდიას ნაციონალისტური ფრაზეოლოგიით. თუ აფხაზეთთან მოხერხდა ნაწილობრივი კომპრომისის მიღწევა 1991 წელს, ოსებთან კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამისი საბაზი გახდა საქართველოს პარლამენტის მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება, რაც, თავის მხრივ, პროვოცირებული იყო ოსების მიერ, ცალმხრივად, ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გამოცხადებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი პერიოდის საქართველოში განვითარებული ეთნოკონფლიქტების (და ასევე თვით ქართულ ეროვნულ მოძრაობაში მომხდარი განხეთქილების) ერთ-ერთი მიზეზი, ადგილობრივ რადიკალთა ქმედებების გარდა იყო, როგორც ჩანს, საკავშირო სპეცსამსახურების შენიღბული საქმიანობა, რომლებიც იყენებდნენ ნაცად იმპერიულ მეთოდს – “დივიდე ეტ იმპერა”.

საბჭოთა ცენტრთან ურთიერთობაში გამსახურდია საქართველოს დამოუკიდებლობის კურსს ადგა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია, მაგრამ ამ აქტმა, როგორც ცალმხრივად გამოცხადებულმა, მაშინ საერთაშორისო აღიარება ვერ მოიპოვა.

1991 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირებამ ფეთქებად დონეს მიაღწია. დეტონატორის როლი შეასრულა 2 სექტემბერს თბილისში პოლიციის მიერ ოპოზიციის არასანქცირებული მიტინგის დარბევამ. განხეთქილება მოხდა თვით გამსახურდიას უახლოეს გარემოცვაშიც. პრეზიდენტს განუდგა მისი ძირითადი ძალოვანი სტრუქტურის – ეროვნული გვარდიის – დიდი ნაწილი. 1991 წლის 22 დეკემბერს ამბოხებულ გვარდიასა და პრეზიდენტის სასახლის დაცვას შორის სამხედრო მოქმედებები დაიწყო. “თბილისის ომი” 6 იანვრამდე გაგრძელდა და დასრულდა გამსახურდიას საქართველოდან გაქცევით. შეიარაღებულმა ბრძოლამ, რომლის დროსაც მხარეები არტილერიასა და რეაქტიულ ჭურვებს იყენებდნენ, საგრძნობლად დააზიანა ქალაქის ცენტრალური უბანი.

სანამ თბილისში ეროვნული მოძრაობის ორი ფრთა ერთმანეთთან ანგარიშსწორებით იყო დაკავებული, მსოფლიოში დიდმნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა: დაიშალა საბჭოთა კავშირი და მსოფლიომ დე ფაქტო, შემდეგ კი დე ჯურე აღიარა მასში შემავალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

საქართველოს იურიდიული აღიარება აქ მომხდარი არეულობის გამო შედარებით გაჭიანურდა. მაგრამ ამ მხრივ გარღვევა მოხდა ქვეყანაში ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსის, ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ (1992 წლის მარტი). ე. შევარდნაძე 1972-1985 წლებში საქართველოს ხელმძღვანელი იყო, კარგად იცნობდა ადგილობრივ სიტუაციას. სამშობლოში მისი დაბრუნება საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს იმედს უნერგავდა, რომ ბოლო მოეღებოდა გაჭიანურებულ ანარქიასა და ქვეყანა სტაბილიზაციის გზას დაადგებოდა. შევარდნაძემ მართლაც მალე მოახერხა რუსეთის შუამავლობით ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შეჩერება, მაგრამ მდგომარეობა აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში, სადაც მოქმედებდნენ გამსახურდიას მომხრეთა შეიარაღებული რაზმები, დამაბული რჩებოდა.

ე. შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება და გარდამავალი პერიოდის დროებითი უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს – სათავეში ჩადგომა, მსოფლიოსათვის გახდა სიგნალი იურიდიულად ეცნოთ ქვეყნის დამოუკიდებლობა. უკვე 1992 წლის 23 მარტს ეს გააკეთეს ევროკავშირის ქვეყნებმა, იმავე წლის 31 ივლისს კი საქართველო მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მის 179–ე სრულუფლებიან წევრად. ამრიგად, საქართველო კვლავ ჩადგა თავისუფალ სახელმწიფოთა რიგებში. აღსრულდა ის, რაზეც ოცნებობდნენ ქვეყნის საუკეთესო შვილები XIX და XX სს–ის უდიდეს მონაკვეთზე.

საქართველო პოსტსაბჭოურ ხანაში (1992-2003 წწ.)

სახელმწიფო საბჭომ ვერ უზრუნველყო ქვეყანაში მშვიდობის დამყარება. მდგომარეობა სამეგრელოს რეგიონში, რომელიც გამსახურდიას მომხრეთა ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა, არასტაბილური იყო (თვითონ ყოფილი პრეზიდენტი ჩეჩნეთში აფარებდა თავს და იქიდან მოუწოდებდა მოსახლეობას დაუმორჩილებლობისაკენ), ხელისუფლების მოუხეშავმა ცდებმა კი ძალისმიერი მეთოდებით დაემყარებინა წესრიგი, ფაქტობრივად, უკუშედეგი გამოიღო. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს ყველაზე დიდი შეცდომა, რომლის შედეგები საქართველოსათვის დღესაც ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, იყო აფხაზეთში ჯარების შეყვანა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნებათმორისი ურთიერთობები თანდათანობით იძაბებოდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, განსაკუთრებით, მოყოლებული 40-იანი წლებიდან. ამის ძირითადი მიზეზი იყო კომუნისტების მანკიერი საშინაო პოლიტიკა (საკადრო, დემოგრაფიული, სასკოლო და ა.შ.), თუმცა ეთნიკურ დაპირისპირებას, როგორც ჩანს, ზოგჯერ სპეციალურადაც აღვივებდნენ საბჭოთა ცენტრის გარკვეული სამსახურები, რათა ამითი აფხაზეთი და, მთლიანად, საქართველო უფრო ძლიერი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ.

აფხაზეთა გამოსვლები სხვადასხვა მოთხოვნებით პერიოდულად მასობრივ ხასიათს იძენდნენ (1956, 1967, 1978). ამ მოთხოვნებში ზოგჯერ ჟღერდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის ლოზუნგიც, რაც ქართველთა საპროტესტო აქციებს იწვევდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოფით დონეზე ქართულ-აფხაზეთური დაპირისპირებას მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში არ მიუღია ეთნიკური ანტაგონიზმის ხასიათი, რაზეც მოწმობს თუნდაც შერეული ქორწინებების სიმრავლე. საქართველოს სსრ მრავალეროვანი მოსახლეობიდან ქართველებს ყველაზე მეტი კულტურული სიახლოვე აფხაზეთთან და ოსებთან ჰქონდათ.

ქართულ-აფხაზეთური ურთიერთობები ძალიან დაიძაბა 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების კრიზისის პერიოდში, როდესაც საქართველოსა და აფხაზეთში ჩამოყალიბდნენ და გავლენა მოიპოვეს ეროვნულმა მოძრაობებმა. ნაციონალისტური მიმართულებების ორგანიზაციათა აქციები და მოთხოვნები, როგორც წესი, რადიკალურ ხასიათს ატარებდნენ. 1989 წლის გაზაფხულზე აფხაზეთმა მხარემ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დონეზე კვლავ დააყენა საქართველოდან გამოყოფის საკითხი. მდგომარეობის დამძიმებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, კომპარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკამ, რომელიც ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით სისხლისღვრის პროვოცირებასაც არ ერიდებოდა. ეთნოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ტრაგიკული ფორმა მიიღო იმავე წლის ზაფხულში, როდესაც ქართველებსა და აფხაზელებს შორის პირველი სისხლიანი შეტაკება მოხდა. დაიღუპა 14 ადამიანი.

ზ. გამსახურდიამ, როგორც აღინიშნა, გარკვეულ კომპრომისს მიაღწია აფხაზეთთან, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – უზენაეს საბჭოში –

კვოტების დაშვებით, რომლის თანახმად აფხაზებს, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის 18 პროცენტს შეადგენდნენ⁶ სადეპუტატო მანდატების 43 პროცენტი ერგოთ, მაგრამ სხვა სფეროებში დაპირისპირება გრძელდებოდა. აფხაზი ხალხის ნებისმიერი წარმომადგენლის, მიუხედავად მისი პოლიტიკური ორიენტაციისა, წყენასა და გულისწყრომას იწვევდა ქართულ პროპაგანდისტულ მასალებში გაბატონებული აზრი იმის შესახებ, თითქოს თანამედროვე აფხაზები სულ რაღაც 200-300 წლის წინ ჩამოსახლდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და პირდაპირი კავშირი არა აქვთ ამ ადგილების ძველ მოსახლეობასთან. ეს არასწორი კონცეფცია, რომელსაც მანამდე სერიოზული მეცნიერები არ იზიარებდნენ, ქართული მხარის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი გახდა 1989 წლიდან დაწყებულ საინფორმაციო ბრძოლაში.

გამსახურდიას დამხობის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ არ მიიღო აფხაზთა წინადადება საქართველოს ფედერალიზაციის შესახებ, სადაც აფხაზეთი ფედერაციის სუბიექტის სახით იქნებოდა წარმოდგენილი. ქვეყანაში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, თბილისსა და სოხუმს შორის დაიწყო “კანონების ომი”, რამაც, ფაქტობრივად, მინიმუმამდე დაიყვანა საქართველოს იურისდიქცია ამ ავტონომიურ ერთეულში.

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების შემდეგ თბილისის პოლიტიკურ წრეებში განმტკიცდა აზრი, რომ აფხაზეთში საქართველოს სრული იურისდიქციის აღდგენისათვის ყველაზე მოკლე გზა არის “სეპარატისტებისათვის” ძალის ჩვენება. ავტონომიაში ცენტრის სასარგებლოდ სიტუაციის დარეგულირების არჩევანს ძალისმიერი მეთოდით პირდაპირ უბიძგა 1992 წლის ზაფხულში რუსეთის მიერ საქართველოსათვის იარაღის დიდი პარტიის (მათ შორის ტანკებისა და სხვა მძიმე ტექნიკის) გადაცემამ. სავარაუდოა, რომ რუსეთის მხარემ ეს მიზანმიმართულად მოიმოქმედა, რათა საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაფლობით შეენარჩუნებინა ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე თავისი გავლენის ბერკეტები.

1992 წლის 14 აგვისტოს ქართულმა სამთავრობო ჯარებმა (ეს არ იყო რეგულარული არმია, რომელიც საქართველოს მაშინ, ფაქტობრივად, არ ჰყავდა. აფხაზეთში გაგზავნილი იქნა პოლიციის კონტინგენტები და, განსაკუთრებით, სხვადასხვა გასამხედროებული ფორმირებები, რომლებსაც საბრძოლო გამოცდილება მიღებული ჰქონდათ სამოქალაქო ომსა და ქართულ-ოსურ კონფლიქტში) გადალახეს აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი და ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში – სოხუმში შევიდნენ. ამავე დროს ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ქ. გაგრასთან, გადასხმული იქნა საზღვაო დესანტი, რომელმაც გადაჭრა აფხაზეთის რუსეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო და სარკინიგზო ხაზები.

სახელმწიფო საბჭომ ეს ოპერაცია გამოაცხადა როგორც აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის დასაცავად დაგეგმილი, მაგრამ სოხუმში შეჭრილი ჯარისკაცების ქმედებები ნაკლებად წააგავდა სატრანსპორტო მაგისტრალის დამცველთა საქმიანობას. ერთ-ერთი პირველი აქცია, რაც მათ ქალაქში მოიმოქმედეს, იყო მთავრობის სახლის სახურავიდან აფხაზური დროშის გადმოგდება, რომელსაც თბილისი არ ცნობდა, და მის ადგილზე ქართული დროშის აფრიალება.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის აფხაზურმა ნაწილმა, რომელმაც ქ. გუდაუთაში გადაინაცვლა (ეთნიკური აფხაზებით მჭიდროდ დასახლებული რაიონის ცენტრში) წინააღმდეგობისაკენ მოუწოდა თავის ხალხს. ვერ ვიტყვით, რომ აფხაზები არ ელოდნენ მოვლენების ასეთ განვითარებას. მათ შექმნილი ჰქონდათ ძალიან ინფრასტრუქტურა (თუმცა არ გააჩნდათ იარაღის საკმარისი რაოდენობა) და კავშირში იყვნენ ჩრდილო კავკასიის ეროვნულ მოძრაობებთან, რომლებიც იმ დროს რუსეთის სამხრეთ ნაწილში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ.

⁶ აფხაზეთში ეთნიკური აფხაზების ხვედრითი წონის სიმცირე, ოსმალეთის იმპერიაში XIX-ის 60-70-იან წლებში მათი მასობრივი გადასახლების შედეგი იყო (იხ. გვ. 19).

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის (შექმნა 1991 წელს ქ. სოხუმში) ლიდერებმა საქართველოს ხელისუფლებას ულტიმატური ფორმით მოთხოვეს აფხაზეთიდან ჯარების გაყვანა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე მოხალისეების გამოგზავნით დაიმუქრნენ. შევარდნაძემ შემოთავაზებული თამაშის წესები მიიღო და განაცხადა, რომ თავდაცვის რაზმებში, რომელთა შექმნა მთელ საქართველოში დაიწყო კონფედერატთა ულტიმატუმის საპასუხად, უკვე 30 ათასზე მეტი ადამიანი იყო გაერთიანებული. ამრიგად, ამოქმედდა ომის მექანიზმი და საქართველო ერთ წელიწადზე მეტ ხანს შეიარაღებული ბრძოლის ქარცეცხლში იყო ჩაბმული.

აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების დაწყებით, უფრო აშკარად გამოიკვეთა მოსკოვის როლი ამ კონფლიქტში. ქართველებიცა და აფხაზებიც საბჭოთა იარაღით იბრძოდნენ და მათი არსენალების შევსების მთავარი წყარო რუსეთი იყო. როგორც ჩანს, იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდება დაპირისპირებული მხარეებისათვის ხდებოდა როგორც მიყიდვით, ასევე პირდაპირი გადაცემის გზით.

მცირერიცხოვან აფხაზებს⁷ მნიშვნელოვანი მორალური და პრაქტიკული მხარდაჭერა აღმოუჩინეს ჩრდილო კავკასიის ეთნიკურად და კულტურულად მონათესავე ხალხებმა (ყაბარდოელებმა, ადიღეელებმა, ჩერქეზებმა, ჩეჩნებმა, აბაზებმა და სხვ.) და ახლო აღმოსავლეთის აფხაზურ-ჩერქეზულმა დიასპორამ. მარტო 1992 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში მთიელთა კონფედერაციის 4-დან 7 ათასამდე მებრძოლი ჩავიდა. ამის გარდა, აფხაზთა მხარეზე იბრძოდა ბევრი სლავური ეროვნების პირი, განსაკუთრებით კაზაკთა გასამხედროებული ორგანიზაციებიდან. ამ არაერთგვაროვან ძალებს სხვადასხვა მოტივი ამომრავებდათ ქართულ-აფხაზურ ომში, მაგრამ, მთლიანობაში, მათი მონაწილეობის ფაქტორმა გამარჯვების სასწორი აფხაზთა მხარეს გადახარა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებთან ბრძოლაში მთავარი დატვირთვა მაინც ეთნიკურ აფხაზებს დააწვათ. აფხაზური ფორმირებები წარმოადგენდნენ ქართველთა მოპირისპირე ძალების ძირითად ბირთვს.

1992 წლის ოქტომბერში აფხაზებმა გაგრა აიღეს, რითიც აღდგა უშუალო კავშირი რუსეთსა და გუდაუთას შორის. სახელმწიფო საბჭოს ჯარების ხელში ამის შემდეგ, პრაქტიკულად, დარჩა აფხაზეთის მხოლოდ ის ნაწილი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ. ქართველთა მთავარი საყრდენი პუნქტი აფხაზეთში ქ. სოხუმი იყო.

1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რამაც ლეგიტიმურობა შესძინა ქვეყნის ფაქტობრივ ხელისუფლებას. იმავდროულად ე. შევარდნაძე არჩეული იქნა პარლამენტის თავმჯდომარედ და მალე აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურად. ჩეჩნეთში მყოფმა გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა არ ცნეს ოქტომბრის არჩევნების კანონიერება. სამეგრელოს რეგიონში კვლავ დაუფარავად მოქმედებდნენ ექსპრეზიდენტის მხარდამჭერი ძალები.

ასეთ პირობებში საქართველოს გაუჭირდა ბრძოლის წარმოება აფხაზეთში, მითუმეტეს, რომ ქართული საზოგადოებისათვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა ამ ომის ხასიათი და მთავარი მოწინააღმდეგე. ასეთად კი ცხადდებოდა ხან აფხაზური სეპარატიზმი, ხან რუსეთი, ხან ისლამური “ფუნდამენტალიზმი”(?!).

გაგრის დაკარგვის შემდეგ ქართული არმია, რომელიც, ფაქტობრივად, სხვადასხვაგვარი რაზმების მექანიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა, ძირითადად თავდაცვაზე გადავიდა. 1993 წლის პირველ ნახევარში მოგერიებული იქნა აფხაზთა რამოდენიმე შეტევა სოხუმზე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლეები ქალაქის მისადგომებთან აფხაზთა ხელში

⁷ სსრ კავშირის მოსახლეობის უკანასკნელი აღწერით (1989 წ.) ამ სახელმწიფოში აფხაზური ეროვნების 105 ათასი ადამიანი იყო. მათგან საქართველოში ცხოვრობდა 96 ათასი ეთნიკური აფხაზი, ხოლო უშუალოდ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 94 ათასი.

გადავიდა. ასეთ ვითარებაში 1993 წლის 27 ივლისს რუსეთის შუამავლობით მიღწეული იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციასა და აფხაზეთის კანონიერი სახელისუფლებო ორგანოების აღდგენისათვის საჭირო პირობების შექმნას. აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის ჯარის ნაწილებს ევალებოდათ მკაცრი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება. რეგიონში წესრიგის დასაცავად აფხაზეთის მკვიდრთაგან უნდა შექმნილიყო პოლინაციონალური მილიცია და შინაგანი ჯარი, რომელშიც გაერთიანდებოდა აფხაზური პოლკი და ქართული ქვედანაყოფი. სხვა ქართული ფორმირებები, ისევე როგორც აფხაზთა მოკავშირე რაზმები, გაყვანილი უნდა ყოფილიყვნენ აფხაზეთის ტერიტორიიდან ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ არა უგვიანეს 10-15 დღის განმავლობაში.

ქართული მხარე შეუდგა სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გაყვანას, რომელშიც მანამდე გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ცოცხალი ძალის გაყვანის საქმე შეფერხდა, ვინაიდან ამ დროისათვის აფხაზეთში მყოფი ქართული საჯარისო დაჯგუფება უკვე მნიშვნელოვანწილად ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შედგებოდა და მათი რეგიონიდან გაყვანა ან განიარაღება, ცხადია, იოლი საქმე არ იყო.

აფხაზეთმა ეს შეთანხმების დარღვევად ჩათვალეს და 16 სექტემბერს მოულოდნელად განაახლეს სოხუმზე შეტევა. მძიმე ბრძოლა 12 დღე გრძელდებოდა და დასრულდა ქართველების მიერ ქალაქის დატოვებით (1993 წლის 27 სექტემბერი). აფხაზეთის ტერიტორიიდან თბილისმა შეინარჩუნა მხოლოდ მწვანე მისადგომი ხეობა მდ. კოდორის სათავეებში. ჯარებთან ერთად აფხაზეთის დატოვება მოუხდა მისი ქართული მოსახლეობის (245 ათასი ადამიანი) დიდ ნაწილსაც. დღეს ეს ხალხი ლტოლვილია საკუთარ სამშობლოში.

ერთწლიანმა ბრძოლამ ძალიან დააზარალა აფხაზეთი, ეს ულამაზესი მხარე. დაიღუპა ათასობით ადამიანი. კრიზისული სიტუაცია შეიქმნა მთელს საქართველოში.

ამ ვითარებაში ზ. გამსახურდია შეეცადა დაებრუნებინა ხელისუფლება. სექტემბერში იგი სამშობლოში ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა თავის მომხრეთა შეიარაღებულ ფორმირებებს. ექსპრეზიდენტმა სცადა სამეგრელოდან ლაშქრობა წამოეწყო თბილისზე, მაგრამ დამარცხდა და დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში (1993 წლის 30 დეკემბერი). გავრცელებული ვერსიით გამსახურდიამ თავი მოიკლა.

* * *

აფხაზეთში დამარცხების მიუხედავად, 1993 წლის შემდეგ შევარდნაძის ხელისუფლება საქართველოში მნიშვნელოვნად განმტკიცდა. მოსახლეობის დიდი ნაწილს ჯერ კიდევ სჯეროდა გამოცდილი ლიდერისა და იმედოვნება, რომ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ დაიწყებოდა ეკონომიკური აღორძინება და მოხდებოდა მსოფლიოში საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქციის ზრდა. ეს იმედი ძირითადად ემყარებოდა ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნად გადაქცევის გეგმებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომლის შესახებ მაშინ ძალიან ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ. ამასთან მომავალი მიღწევების რეალიზაცია საზოგადოების თვალში (ძირითადად ისევ ოფიციალური პროპაგანდის გავლენით) უკავშირდებოდა ედუარდ შევარდნაძის სახელს, მის პირად კავშირებსა და გავლენას მსოფლიო პოლიტიკურ კლასზე.

90-იანი წლების შუა ხანებში თანდათანობით კვლავ მოძლიერდა წინა პერიოდებში მორყეული სახელმწიფო აპარატი. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ მიიღო ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუცია (სიმპტომატურია, რომ ამ აქტს დაემთხვა ტერორისტული თავდასხმა შევარდნაძეზე, სახელმწიფოს მეთაური და მანქანაში მასთან ერთად მსხდომი პირები სასწაულებრივ გადაურჩნენ სიკვდილს), ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები,

აღადგინეს პრეზიდენტის პოსტი, რომელიც გამსახურდიას დამხობის შემდეგ დროებით გაუქმებული იყო⁸.

პრეზიდენტი შევარდნაძე ახალ საქართველოს აშენებდა თავისი ძველი გამოცდილებითა და ძველი კადრების დახმარებით. სახელისუფლებო სტრუქტურებში დიდი რაოდენობით დაბრუნდნენ ყოფილი პარტიული და კომკავშირელი ფუნქციონერები, რომლებმაც თითქმის მთლიანად შეცვალეს აქ “გარდაქმნის” ხანის ანტისაბჭოური მოძრაობის წიაღიდან გამოსული პირები. მაგრამ შევარდნაძემ დაიახლოვა აგრეთვე ზოგიერთი ახალგაზრდა პოლიტიკოსიც, რომელიც არ იყო დაკავშირებული ყოფილ პარტიულ ნომენკლატურასთან. მათი ყოფნა ხელისუფლებაში შევარდნაძეს უმტკიცებდა დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსისა და რეფორმატორის იმიჯს. ამ ახალგაზრდებს შორის იყო მწვანეთა პარტიის ლიდერი ზურაბ ჟვანია, რომელმაც 1995 წელს 32 წლის ასაკში დაიკავა პარლამენტის სპიკერის პოსტი.

შევარდნაძის პოლიტიკური დასაყრდენი გახდა მის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაცია - “საქართველოს მოქალაქეთა კავშირი”, რომელმაც 1995 წლის არჩევნებით პარლამენტში ადგილთა უმრავლესობა მოიპოვა. “მოქალაქეთა” რიგებში გაწევრიანდა ათასობით ადამიანი, რომელთაგან ბევრი, არც თუ უსაფუძვლოდ, საპრეზიდენტო პარტიის “ჭერქვეშ” პირადი კარიერის მოწყობას ისახავდა მიზნად. სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზაცია და ამ ფაქტთან დაკავშირებული კორუფციის ზრდა, შევარდნაძისეული ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

ეკონომიკური ზრდის ტენდენცია, რომელიც თითქოსდა ჩაისახა აფხაზეთის ომის მომდევნო პერიოდში, 90-იანი წლების ბოლოსათვის სრულიად გაქრა. საქართველოში, ფაქტობრივად, არ მოქმედებდნენ კანონები. მაგალითად, როგორც აღნიშნავდნენ, სასამართლოს ყოველი ოთხი დადგენილებიდან არ სრულდებოდა სამი. ცუდად ფუნქციონირებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების წყაროები (ზოგიერთი ცნობით, ხაზინაში შედიოდა საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 1/7). დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს დასახმარებლად გამოყოფილი უზარმაზარი თანხების მნიშვნელოვან ნაწილს მმართველი ფენა იტაცებდა. რეგულარული ხასიათი მიიღო ისედაც მცირე ხელფასებისა და პენსიების დაგვიანებით გაცემამ. მოქალაქეთა კავშირის 1995 წლის წინასაარჩევნო დაპირება, შეექმნათ 1 მილიონი სამუშაო ადგილი, სრული ფიქცია აღმოჩნდა. ასობით ათასი საქართველოს მკვიდრი იძულებული იყო სამუშაოს საძებნელად ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასულიყო. საგრძნობი რეზულტატი არ მოუტანია არც რეკლამირებულ საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებს, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წელს ამოქმედდა საქართველოზე გამავალი პირველი ექსპერიმენტული ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი (ქ. ფოთის სამხრეთით), რომლითაც აზერბაიჯანული ნავთობი მიეწოდება ინდუსტრიულ სამყაროს. საზოგადოებისათვის თანდათანობით ნათელი გახდა, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული რეფორმები და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ. მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა აგრეთვე გაზისა და ელექტროენერჯის პერმანენტული გამორთვები.

შევარდნაძემ ვერ შეძლო გადაელახა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ჩიხი. თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები არ ცნობენ საქართველოს იურისდიქციას. საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო) და “მეგობარი სახელმწიფოების” (აშშ, რუსეთის ფედერაცია, დიდ ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია)⁹

⁸ 1995 და 2000 წლებში საქართველოს პრეზიდენტად არჩეული იყო ედუარდ შევარდნაძე.

⁹ მათ შორის გამოსაყოფია რუსეთის ფედერაციის როლი, რომლის ჯარებიც, სამშვიდობო ძალების სტატუსით, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონებში იმყოფებიან (შესაბამისად 1992 და 1994 წლებიდან). საქართველოში ამას ბევრი აღიქვამს, როგორც ფარულ ექსპანსიას.

შუამავლობით დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი, მაგრამ მას რაიმე საფუძვლიანი შედეგი არ მოუტანია; მხარეები კვლავ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებზე რჩებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმოფხვრილი არ არის ცეცხლის განახლების საშიშროება.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოუგვარებლობა უშუალო ზეგავლენას ახდენს აგრეთვე მრავალრიცხოვან ლტოლვილთა ბედზე, რომელთა ყოფნით ქვეყანაში კიდევ უფრო იძაბება არსებული მდგომარეობა.

შექმნილი ვითარებით გამოწვეული მოსახლეობის უკმაყოფილების ფოკუსში კვლავ შევარდნადის პიროვნება აღმოჩნდა (ისევე, როგორც ადრე, ფაქტობრივად, მხოლოდ მისგან ელოდნენ ძირითადი ეროვნული პრობლემების მოგვარებას). ასეთ პირობებში ჩაიარეს 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა. გაიმარჯვა ისევე მოქალაქეთა კავშირმა, მაგრამ საზოგადოებაში უკვე ფართოდ გავრცელდა ხმები არჩევნებში დიდი ფალსიფიკაციების შესახებ ხელისუფლების სასარგებლოდ.

შევარდნადის უთუო დამსახურებაა ის სრული სიტყვის თავისუფლება, რომელიც საქართველოში სუფევდა მისი პრეზიდენტობის წლებში. მრავალრიცხოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ განიხილავდნენ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას და მათი კრიტიკის სიმძაფრე ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის მიმართ ხშირად ცდებოდა კორექტულობის საზღვრებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი თავისუფლებაც კი უკვე ასოცირდებოდა იმ ტოტალურ თავაშვებულობასა და დაუსჯელობასთან, რაც ქვეყანაში მეფობდა.

2001 წლის ოქტომბერში ქართულმა ძალოვანმა სტრუქტურებმა ჩეჩენთა რაზმის დახმარებით განახორციელეს შეიარაღებული შეჭრა აფხაზეთში, რომელიც სერიოზული მარცხით დასრულდა. როგორც ჩანს, მთავრობის ეს მორიგი წარუმატებლობა მოსახლეობის უკმაყოფილების მასობრივი გამოვლინების მიზეზად იქცა. დეტონატორის როლი შეასრულა ხელისუფალთა მიერ დამოუკიდებელ ტელეკომპანია “რუსთავი-2”-ზე უხეში დაწოლის მცდელობამ. 2001 წლის ნოემბერში პარლამენტისა და სახელმწიფო კანცელარიის წინ გაიმართა სტიქიური საპროტესტო აქციები; შეკრებილი ხალხი შევარდნადის პოსტიდან გადადგომას მოითხოვდა.

ამ პერიოდში უკვე აშკარად გამოიკვეთა განხეთქილება პრეზიდენტსა და მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა “მედსავლეთებს” შორის. სპიკერის პოსტი დატოვა ზურაბ ჟვანიამ. ოპოზიციის ამ ახალი ფრთის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო იურისტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც პარლამენტში პირველად ყურადღება მიიქცია კრიტიკული გამოსვლებით მაღალჩინოსანი მოხელეების წინააღმდეგ. სააკაშვილის სახელს უკავშირდება აგრეთვე სასამართლო სისტემის რეფორმირება საქართველოში. 2002 წელს სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა.

ჟვანიას შემდეგ სპიკერის პოსტი დაიკავა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც თავდაპირველად კომპრომისულ ფიგურად აღიქმებოდა პრეზიდენტის გუნდსა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის, მაგრამ ბურჯანაძეც მალე ოპოზიციისაკენ გადაიხარა.

ამ დროისათვის შევარდნადის ავტორიტეტი უკვე საკმაოდ შერყეული იყო საქართველოს დასავლელი მეგობრების თვალში, რომლებიც ქვეყანაში შექმნილ ვითარებას აკვირდებოდნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ დასავლეთის პოლიტიკური წრეები დადებითად აღიქვამდნენ სააკაშვილსა და ჟვანიას.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საქართველოს პოლიტიკური ძალები განსაკუთრებული გულმოდგინებით ემზადებოდნენ. ამბიციური პოლიტიკური ლიდერები ამ არჩევნებს განიხილავდნენ როგორც ეტაპს 2004 წლის საპრეზიდენტო ბრძოლისათვის, როდესაც უნდა დამთავრებულიყო ხელისუფლების სათავეში შევარდნადის ყოფნის უკანასკნელი ვადა.

დაიწყო საარჩევნო ბლოკებისა და ალიანსების ჩამოყალიბება. მალე გაირკვა, რომ სახელისუფლო პარტიიდან გასული პოლიტიკოსების მიერ შექმნილი გაერთიანებებიდან, რომლებსაც ზოგი სხვა პოლიტიკური ძალაც შეუერთდა¹⁰, ფართო გავლენით სარგებლობდნენ: 1)“ნაციონალური მოძრაობა”, რომლის სათავეში იდგა მ. სააკაშვილი, და 2)“გაერთიანებული დემოკრატიების კავშირი” (ლიდერები - ნ. ბურჯანაძე და ზ. ჟვანია). უკვე წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამ ოპოზიციური ბლოკების სახელწოდებებში პოპულარულ ლიდერთა გვარებიც გამოჩნდა – “საკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა” და “ბურჯანაძე-დემოკრატიები”, ვინაიდან საქართველოში რიგითი ამომრჩეველი ჯერ-ჯერობით ხმას უფრო აძლევს ცალკე აღებულ ლიდერს, და არა პოლიტიკურ ორგანიზაციას მთლიანობაში.

2 ნოემბრისათვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში 24 საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა. შევარდნაძემ, რომელსაც პრაქტიკულად დაეშალა საყრდენი პოლიტიკური ორგანიზაცია - მოქალაქეთა კავშირი, - რომელიც ყველაზე ძლიერმა პოლიტიკურმა ფიგურებმა დატოვეს, ჩამოაყალიბა საარჩევნო გაერთიანება “ახალი საქართველოსათვის”. ეს სახელისუფლებო ბლოკი, როგორც მას უწოდებდნენ, განსაკუთრებული ეკლექტიზმით გამოირჩეოდა. მასში შემავალ არაერთგვაროვან ძალებს, ფაქტობრივად, აერთიანებდათ მხოლოდ საპრეზიდენტო “ქოლგის” ქვეშ პარლამენტში მოხვედრის სურვილი.

არჩევნების წინა პერიოდში მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეოხებით ცნობილი გახდა, რომ მზადდებოდა საარჩევნო სიების მასობრივი გაყალბება: ხმის მიმცემთა სიებში მოხვედრილი არ იყო პოტენციური ამომრჩეველების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ ნაცვლად კი სიებში პოულობდნენ წლების წინ გარდაცვლილი ადამიანების სახელებს. ამ ნაკლის გამოსწორება დიდი ხმაურის მიუხედავად ვერ მოხერხდა, ვინაიდან არჩევნების გაყალბებით გავლენიანი ძალები იყვნენ დაინტერესებულნი.

2 ნოემბრის არჩევნები მოსახლეობის დიდი აქტიურობით ჩატარდა. ხალხს კარდინალური ცვლილებები უნდოდა ქვეყანაში, რისთვისაც საყოველთაო აზრით საჭირო იყო არსებული ხელისუფლების შეცვლა. მაგრამ არჩევნების ოფიციალური შედეგებით, რომლებიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) გამოაქვეყნა, გამოვიდა, რომ პირველ ადგილზე გასული იყო სახელისუფლებო ბლოკი “ახალი საქართველოსათვის”, ხოლო მეორე ადგილზე – “დემოკრატიული აღორძინების კავშირი”, რომლის ლიდერია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე. ამავე მონაცემებით საარჩევნო ბლოკს “საკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა” მხოლოდ მესამე ადგილი ერგო, “ბურჯანაძე-დემოკრატიებს” კი - მეხუთე ადგილი.

საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში მრავალი ადგილობრივი თუ უცხოელი დამკვირვებელი ესწრებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციები აწარმოებდნენ ხმების პარალელურ დათვლას. მათ მიერ მიღებული შედეგი საგრძნობლად განსხვავდებოდა ცესკოს მონაცემებისაგან. კერძოდ, ალტერნატიული წყაროების მიხედვით პირველ ადგილზე გავიდა ბლოკი “საკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა”, მეორე ადგილზე – სახელისუფლებო ბლოკი. გაერთიანება “ბურჯანაძე-დემოკრატიებს” წილად ხვდა მეოთხე ადგილი, “აღორძინების კავშირს” - მეხუთე.

“ნაციონალურმა მოძრაობამ” და “ბურჯანაძე-დემოკრატიებმა” არ ცნეს ცესკოს მიერ გამოცხადებული შედეგები და 4 ნოემბერს დედაქალაქის ქუჩებში საპროტესტო აქციებით გამოვიდნენ. მათ მრავალი ათასი თბილისელი და საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ადამიანი შეუერთდა. 20 დღის განმავლობაში თბილისის ქუჩები სავსე იყო

¹⁰ კერძოდ, ნაციონალურ მოძრაობაში გაერთიანდნენ აგრეთვე პოლიტიკური ორგანიზაციები: “საქართველოს რესპუბლიკური პარტია” და “ეროვნულ ძალთა გაერთიანება”, ხოლო გაერთიანებულ დემოკრატიებთან ბლოკში შევიდა “ტრადიციონალისტთა კავშირი”.

მანიფესტანტებითა და პოლიციის ქვედანაყოფებით, ხოლო სიტუაცია ხშირად უახლოვდებოდა ფეთქებად დონეს.

2003 წლის ნოემბრის მოვლენებმა ცხადყოფს რა არაპოპულარული იყო შევარდნადის მმართველობა საქართველოში. მას, პრაქტიკულად, საზოგადოებაში მხარდამჭერი აღარ ჰყავდა, გარდა სახელისუფლებო ბლოკის გარშემო გაერთიანებული ჯგუფისა, რომელმაც ამ კრიტიკულ დღეებში კონსტრუქციული მოქმედების სრული უუნარობა გამოამჟღავნა.

მიუხედავად ამისა, 22 ნოემბერს შევარდნაძე შეეცადა გაეხსნა ცესკოს მონაცემთა მიხედვით შედგენილი პარლამენტის პირველი სხდომა, მაგრამ დარბაზში მოულოდნელად შეჭრილმა სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა პრეზიდენტს ამის საშუალება არ მისცეს¹¹. დემონსტრანტებმა დაიკავეს პარლამენტისა და სახელმწიფო კანცელარიის შენობები. დაიწყო ხალხის მხარეზე პოლიციისა და შეიარაღებული ძალების გადასვლა.

მეორე დღეს, 23 ნოემბერს, შევარდნაძე, რომელსაც, ფაქტობრივად, მთელმა მსოფლიომ ზურგი შეაქცია¹², იძულებული გახდა განცხადება გაეკეთებინა პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ.

საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა გამარჯვებული ოპოზიცია, რომელიც ქართული საზოგადოების გარკვეული უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს. “ნაციონალური მოძრაობისა” და “ბურჯანაძე-დემოკრატების” ლიდერებმა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც 2004 წლის 4 იანვარს გამართულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში სრული გამარჯვება მოიპოვა (ამომრჩეველთა ხმების 96,7%). მოსახლეობის ასეთი მხარდაჭერა ხელისუფლებას სერიოზულ შანსს აძლევს განახორციელოს ქვეყანაში ეფექტური ეკონომიკური და სოციალური რეფორმები, რათა XXI საუკუნის დასაწყისში საქართველო მტკიცედ დაადგეს აღმავლობის გზას.

2004 წლის 7 იანვარი

¹¹ აღსანიშნავია, რომ სხდომათა დარბაზში შესულ სააკაშვილს ხელში ვარდი ეკავა, რის გამოც ნოემბრის მოვლენები საქართველოში “ვარდების რევოლუციად” მოინათლა. ეს იყო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი, უსისხლო გადატრიალება, მიუხედავად იმისა, რომ მასში ათობით ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

¹² პრესაში გამოქვეყნებული მასალებით, შევარდნაძე ამაოდ ცდილობდა მიეღო პოლიტიკური მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის მხრიდან. სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა ჯერ კიდევ 20 ნოემბერს განაცხადა ბრიფინგზე, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა არჩევნების ფალსიფიცირებას და შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის სახელით ღრმა იმედგაცრუება გამოხატა საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მიმართ. დასავლეთის სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ არ აპირებენ საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევას. მსგავსი ხასიათის განცხადება გააკეთა აგრეთვე საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლობამ.

გიორგი ანჩაბაძე. საქართველოს ისტორია. მოკლე ნარკვევი

Georgre Anchabadze. History of Georgia. Short sketch

თბილისი

Tbilisi

2005

ამ გამოცემის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოფირის გადაღება და მაგნიტურ მატარებელზე ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© გიორგი ანჩაბაძე, 2005

© George Anchabadze, 2005